ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



გვ.3

**„ოცნება“ ურჩი დეპუტატების დასჯას იწყებს — ივანიშვილის შურისძიება კაკულიასა და მარიამ ჯაშზე**

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ხუთშაბათი, 27 ივნისი, 2019 №150 (8104) ფასი: 60 თეთრი

# საქართველოს პარლამენტის 92-მა დეპუტატმა ნიკა მელია დასაჭერად გაიმეტა



გვ.2

„ამ 92 ადამიანს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ ტყვეობიდან უნდა დავიხსნათ“

## აშშ-მ ივანიშვილი გააფრთხილა

გვ.3

წავა თუ არა ოლიგარქი დათმობაზე?





**თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილმა ხელების მოჭრით სულიერება მოაშთო და ადამიანების მოთხრაზე გადავიდა“** გვ.3



**გედევან ფოფხაძე: „გახარია უნდა გადადგეს“** გვ.4

### სამართალი

გვ.7



**„აიპლიუსის“ მაღაზიაში მძარცველმა კონსულტანტი მძევლად აიყვანა**

დამნაშავე დაკავებულია



**ბექა ბასილაია და აქციაზე დაკავებული ყველა პირი გაათავისუფლეს**

**ტრაპიზონში 2 ქართველი დაიღუპა**



**სვანეთში 12 წლის გოგონას მამა, დავით გაბლიანი, შემოაკვდა**

### ეკონომიკა

გვ.6

**მიზეზები, რამაც ლარის კურსის ახალი ანტირეკორდი გამოიწვია**



**„საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში“ რადიკალური ცვლილებები იგეგმება**



**კვირის განმავლობაში 7 დღით მუშაობა შესაძლოა, აიკრძალოს**

**„რუსთაველზე რაც მოხდა საშინელებაა, ჩვენ კი „ვაგზალზე“ ლუკმაპურისთვის ვიბრძვით“**



გვ.5

ISSN 1987-9385

4 ვინ დაუჭირა მხარი ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერებას

4 აშშ-ის საელჩო: მოვუწოდებთ მთავრობას, იმოქმედოს თავშეკავებით

5 გიორგი ახვლედიანი: „ნაციონალებს პროპორციული სისტემა არ უნდათ“

8 იტალიაში მაფიოზური საქმიანობისთვის 120 კაცზე მეტი დააპატიმრეს

# საქართველოს პარლამენტის 92-მა დეპუტატმა ნიკა მელია დასაჭერად გაიმეტა

## ივანიშვილის საჩუქარი პუტინ-გავრილოვს

შორენა მარსაგიშვილი

26 ივნისი საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც სამარცხვინო თარიღი. 2019 წლის 26 ივნისს საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ რუსეთის მოთხოვნით დეპუტატის იმუნიტეტი შეუჩერა ნიკა მელიას.

ამ მოთხოვნით პარლამენტს მთავარმა პროკურატურამ 25 ივნისს მიმართა. 26 ივნისს კი ქართველი კანონმდებლები ლამის ალიონზე შეიკრიბნენ ნიკა მელიას დასასჯელად.

საქართველოს პროკურატურის კვალდაკვალ ქართველი დეპუტატების დასჯა მოითხოვა რუსმა მართლმადიდებელმა კომუნისტმა სერგეი გავრილოვმა, რომელსაც გასულ კვირას, 20 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამი წააბილწინეს.

გავრილოვი დღემდე ვერ ინელებს, რომ ქართველი დეპუტატების ნაწილმა ის პარლამენტიდან გამოაგდო.

მან გუშინ, 26 მაისს, კიდევ ერთხელ მოითხოვა იმათი გამოვლენა და დასჯა, ვინც მას საქართველოს პარლამენტში ანგელოზები დაუფრთხო. არადა, რომ ჰკითხო, ქრისტიანია და მღვდლობას აპირებს. ეტყობა, რუსული მართლმადიდებლობა მიტევებას არ ითვალისწინებს.

თავისი გაშმაგება მან, ეტყობა, ვერც 20-21 ივნისის სისხლიანი ღამით დაიცხრო, რომელიც ფაქტიურად მისი და პუტინის გულის მოსაგებად მოეწყო. რუს მართლმადიდებელს დათხრილი თვალები და სისხლით მორწყული რუსთაველი ეცოტავა და ახლა თბილისს მისი გამბრაზებლების თავები მოსთხოვა.

რუსეთის დუმაში საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მან საქართველოს პარლამენტში 20 ივნისს განვითარებული მოვლენების გამოძიება და ამ პროცესში რუსული მხარის ჩართვა მოითხოვა.

„სათნო მართლმადიდებელი“ კომუნისტი დღემდე ამტკიცებს, რომ საქართველოს პარლამენტში არეულობა რადიკალებმა მოაწყვეს.

ის ამბობს, რომ ამ რადიკალებს სახელმწიფოს გადატრიალება ჰქონდათ განზრახული.

დუმის სიამაყე – გავრილოვი – ქართულ მხარეს ამ მიმართულებით ძიების დაწყებას ურჩევს, პროცესში რუსეთის ჩართვას და პასუხისმგებელი პირების დასჯას მოითხოვს.

– რა თქმა უნდა, ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ ინციდენტების გამოძიებაში. ჩვენ არ ვერევით საქართველოს შიდა საქმეებში და ხელისუფლების დესტაბილიზაციის მცდელობებში, მაგრამ აგრესიული და მტრული ქმედებები რუსეთის წარმომადგენლების მიმართ, რა თქმა უნდა, გამოძიებული უნდა იყოს. ჩვენ, ჩვენის მხრივ, თუ საქართველო არ გამოავლენს და არ დასჯის პასუხისმგებელ პირებს, უნდა გამოვავლინოთ ამ ქმედებების წამქეზებლები.

ამასთან მიმაჩნია, რომ ჩვენმა მოქმედებებმა გავლენა არ უნდა მოახდინოს ჩვენ ერებსა და ეკლესიებს შორის კეთილმეზობლობისა და პატივისცემის ზრდაზე, რამდენადაც სწორედ ურთიერთობების ბლოკირება არის მთავარი მიზანი ექსტრემისტების, რომლებმაც დაიწყეს ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბაბად გამოყენებით, – განაცხადა გავრილოვმა.



„ამ 92 ადამიანს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ ტყვეობიდან უნდა დავიხსნათ“

ალბათ შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ 20-21 ივნისის მოვლენებზე გავრილოვს და საქართველოს ხელისუფლებას ერთნაირი პოზიციები აქვს და ორივე გადატრიალებაზე ჭიკჭიკებს.

ამ ჭიკჭიკის თანახმად კი, ნიკა მელია მთავარი გადამტრიალებელია. საქართველოს საგამოძიებო უწყების განმარტებით, მათ უფლებამოსილება შეჩერებული დეპუტატის წინააღმდეგ ზღვა მასალა აქვთ.

ამ ზღვა მასალაზე პარლამენტში არ უმსჯელიათ. არადა ამ საკითხზე სამსჯელოდ დეპუტატები დილის 9 საათიდან შეიკრიბნენ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პარლამენტში შესვლა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ამასთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ განაცხადა, რომ პარლამენტის საშვთა ბიუროსაც კი პუტინის მონა ივანიშვილი აკონტროლებს.

იურიდიულმა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტებმა დილის 8 საათზე დაიწყეს ნიკა მელიას საკითხის განხილვა. განხილვა 6 საათი გრძელდებოდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან ხმაურიანად წარიმართა.



ოპოზიცია ამაოდ ამუნათებდა მეოცნებეებს, რომ დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნა არ შეიძლებოდა. ანრი ოხანაშვილის და გიორგი კახიანის კომიტეტებმა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერებას კურთხევა მისცეს.

რეგლამენტის თანახმად, პლენარულ სხდომაზე გატანამდე ეს საკითხი ბიუროზე გაიტანეს, სადაც ასევე მწვანე შუქი აინთო.

პლენარულ სხდომას ნიკა მელიაც ესწრებოდა. ის მარტო ელოდა კოლეგებისგან განაჩენის გამოტანას. ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვა.

როგორც მოგვიანებით მელიამ განმარტა, მან თავად სთხოვა კოლეგებს, რომ ის მარტო დაეტოვებინათ.

– მე ვთხოვე ჩემს კოლეგებს, რომ დღეს ეს სურათი ყოფილიყო, რომელიც არის. დიახ, მე აქ ვარ მარტო და არიან კიდევ კოლეგები, მე ვარ დღეს ამაყი, მაგრამ, მე მგონი, თქვენ არ ხართ ამაყი. დღეს მე ვარ თავისუფალი, მაგრამ თქვენ პირიქით თავს გრძნობთ უხერხულ მორჩილებაში!

მე ბევრი რამე მექნება სათქმელი თქვენი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის, თქვენ გექნებათ ცოტა სათქმელი, რომ მტერი ჩასვით ციხეში. მე შემიძლია თვალი თვალს გაგისწოროთ, თქვენს ეს არ შეგიძლიათ. მე ვარ ამაყი და მე მაქვს ზეიმი, თქვენ გაქვთ პანაშვიდი. ღილაკზე მიჭერით თქვენ თქვენს ბედსაც განსაზღვრავთ, – მიმართა ნიკა მელიამ მეოცნებეებს.

მეოცნებეების გარდა, სხდომათა დარბაზში პატრიოტთა ალიანსის წევრებიც ისხდნენ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი კოლეგისთვის იმუნიტეტის მოხსნის წინააღმდეგ წავიდა.

კვიციანმა განაცხადა, რომ ის ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს თავდებში დაუდგებოდა.

– 21 ივნისს ვიხილეთ ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც მოუწოდებდნენ ასე – „ივანიშვილს ხელიდან უნდა წავგლიჯეთ ხელისუფლება“. გახსოვთ ალბათ, ამის ავტორი ქვეყნის გამყიდველი ოქრუაშვილი, რომელსაც არც იმუნიტეტის შეჩერება სჭირდება და არც ჩამორთმევა. არის დაკითხული ან დაკავებული?



რაც შეეხება ნიკანორ მელიას, არის მასზე სისხლის სამართლის საქმე აღძრული, გირაოთია გამოშვებული და არ გაქცეულა არსად. აგერ მოვიდა და ზის, გისმენთ და უყურებს ამ ყველაფერს. ანუ ყველა საფუძველი არსებობს იმის, რომ არსად გაიქცევა და რატომ არის მისი პატიმრობაში ყოფნა საჭირო, ძალიან მაინტერესებს.

თუ არის შესაძლებლობა, რომ დეპუტატები თავდებში დავუდგეთ ნიკანორ მელიას? არის ამის შესაძლებლობა, რომ აიღონ დეპუტატებმა თავის თავზე, რომ ნიკანორ მელია არ გაიქცევა და არ შეუშლის ხელს გამოძიებას? ან შინა პატიმრობა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებები გვაქვს, ის არის ჩვენი კოლეგა და ეს ისტორიაში ჩაიწერება, რომ მე-9 მოწვევის პარლამენტარებმა თავიანთი კოლეგა გაწირეს, – აღნიშნა დეპუტატმა.

ნიკა მელიას სიტყვა პატრიოტთა ალიანსის კიდევ ერთმა ლიდერმა გიორგი ლომიამაც შეაწია.

მისი თქმით, სხვა ნაციონალებთან შედარებით, რომლებიც პარლამენტში სხედან, მელია ყველაზე ნაკლები ნაცია.

მან ავადსახსენებელი გავრილოვიც ახსენა. ამბობს, რომ „ოცნება“ გავრილოვს საქართველოში ჩამოსვლას 2 თვის განმავლობაში ეხვეწებოდა და უსაფრთხოების დაცვას ჰპირდებოდა.

– უმრავლესობას მინდა კითხვა დაგისვათ. 2 თვის განმავლობაში ეხვეწებოდით ფაქტობრივად გავრილოვს, რომ ჩამოსულიყო საქართველოში. როცა ის ჩამოდიოდა, დაპირდით, რომ უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი დაცვა. ჩამოიყვანეთ, დასვით პარლამენტში, რასაც მოჰყვა სერიოზული აურზაური.

ეს რომ დადგმული სპექტაკლი იყო, ჩანს იქიდან, რომ ჩაჯდა თუ არა სავარძელში, კარები გაიღო, შემოვიდა „ევროპული საქართველო“ მომზადებული პლაკატებით, შემოხვეული დროშებით და უკვე გასაგებია, ვის მიერ იყო ეს პროვოკაცია მოწყობილი.

ისმის კითხვა, დღეს რომ ნაცმოძრაობა გვიზის პარლამენტში, ამ ნაცმოძრაობის წევრებში, მე მგონი, ნიკანორ მელია არის ყველაზე ნაკლებად ნაცი, იმიტომ, რომ რამდენადაც ვიცი, ნიკანორ მელია 2012 წელს შეუერთდა ნაცმოძრაობას, მანამდე არ ყოფილა.

ყველაზე დიდი ნაცები „ევროპულ საქართველოში“ არიან, მაგრამ რადგან სახელი შეეცვალათ, პასუხი არ უნდა მოეთხოვოთ? „ევროპული საქართველო“ იყო ის პოლიტიკური პარტია, „ევრონაცებს“ ვეძახი მათ, რომელმაც მოუხმო ხალხს და მოუწოდა ხალხს გამოსულიყო პარლამენტთან, ვითომ მშვიდობიანი აქციისთვის. დაახლოებით, 9 საათზე, როცა საქართველო აირია, „ევროპული საქართველოს“ ვერც ერთი წევრი ვერ ვნახეთ აქციაზე, მაგრამ შეგვრჩა ნიკანორ მელია, – განაცხადა ლომიამ.

ნაცთა შორის ყველაზე ნაკლები ნაცისთვის იმუნიტეტის მოხსნას მხარი 91-მა დეპუტატმა დაუჭირა.

იმუნიტეტის მოხსნისთვის მხარი „ოცნების“ რამდენიმე დეპუტატს არ დაუჭერია. მათ შორის ერთ-ერთი იყო მარიამ ჯაში.

– მე თავი შევიკავე კენჭისყრაში მონაწილეობისგან. როცა ასეთი სენსიტიური საკითხი განიხილება, რომელიც ეხება კოლეგას, მიუხედავად პოლიტიკური კუთვნილებისა, საზოგადოებას შევპირდი, რომ მივიღებდი აპოლიტიკურ გადაწყვეტილებას და მსჯელობის ფონზე ჩავთვალე, რომ ეს იყო ის გადაწყვეტილება, ვგულისხმობ თავის შეკავებას, რომელიც ჩემი მხრიდან იქნებოდა ამ ეტაპზე ყველაზე სწორი პოზიცია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში მარიამ ჯაშმა.

მედიისთვის კომენტარი იმუნიტეტმოხსნილმა ნიკა მელიამაც გააკეთა.

მისი თქმით, დეპუტატები, რომლებმაც ის დასაჭერად გაიმეტეს, ტყვეობიდან არიან გამოსახსნელები.

დასაჭერად გამეტებული მედიასთან საუბარში ამბობს, რომ მას თავიდან თმის ღერი არ ჩამოუვარდება, ხოლო თუ ვინმეს სანერვიულო აქვს, ეს ბიძინა ივანიშვილია.

– მე მგონი, ჩემს სათქმელში ვთქვი, რასაც ვგრძნობდი და რაც ხდებოდა. მე ახლა დავრწმუნდი იმაში, რომ ამ ხალხს, ამ 92 ადამიანს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ ტყვეობიდან უნდა დავიხსნათ. ისინი ნამდვილად ტყვეობაში არიან იმიტომ, რომ გულახდილად ვიგრძენი, ისინი მზად არ არიან, თვალი გაუსწორონ ადამიანს, ვის წინააღმდეგადაც ღილაკს მიაჭირეს ხელი.



დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, მათ დიდ ნაწილს ამის სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ მათ იმოქმედეს საკუთარი ნების წინააღმდეგ. ეს არის ამ ქვეყნის უბედურება. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სახელისუფლებო გუნდს შველა სჭირდება. ყველა უნდა დავირაზმოთ და ტყვეობიდან დავიხსნათ ეს ადამიანები. რამდენჯერაც უკან გამოვიხედე, იმდენჯერ თვალი ვერ გამისწორეს, მეუხერხულებოდა უკვე უკან გამოხედვა, ვცდილობდი, დრო მომეგო და ტელეფონში ჩავყავი თავი. მძიმე ატმოსფერო და აურა იყო.

ბიძინა ივანიშვილი უკვე დამარცხებულია. ისევ რომან გოცირიძის გენიალურ ნათქვამს გავიმეორებ: თმის ღერი არ ჩამოვარდება ჩემი თავიდან. ეს არის ფაქტი. თუ ვინმეს აქვს სანერვიულო, ეს ბატონი ივანიშვილია. ვიცი, რომ შევალ ივანიშვილის ციხეში და გამოვალ თავისუფალ საქართველოში, – აღნიშნა ნიკა მელიამ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილმა ხეების მოჭრით სულიერება მოაშთო და ადამიანების მოთხრაზე გადავიდა“

## „გახარიას ჩვენი შვილებისთვის თვალების დათხრაზე პასუხს არ ვთხოვთ და მელიას სამშობლოს დაცვაზე ვთხოვთ პასუხს?!“




იაგო ნაცვლიშვილი

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ნიკა მელიას წინააღმდეგ პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. არის ვარაუდი, რომ პირთა წრე კიდევ გაიზრდება. ოპოზიციამ ეს უკვე შეაფასა პოლიტიკურ რეპრესიებად. ფაქტია, „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ახალ ფურცელს ეყრება საფუძველი, რაც ჯერ აქციის დარბევაში გამოიხატა, მოჰყვება თუ არა მას ხმაურიანი დაჭერები, ეს არის ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რაც საზოგადოების დიდ ნაწილს აწუხებს.

რა პოლიტიკური პროცესი დაიწყო და რა ხდებოდა 20-21 ივნისის აქციის დარბევის დროს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტიკური პარტიის „კანონი და სამართლის“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი საუბრობს, რომელთან ინტერვიუც მელიას საკითხის განხილვამდე და იქამდე ჩავწერეთ, სანამ ჩარკვიანი აქციაზე შეუძლოდ გახდებოდა.

***– მელიას წინააღმდეგ აღიძრა საქმე, გაქვთ თუ არა მოლოდინი, რომ მასთან ერთად ვინც დაიბარეს გამოკითხვაზე, ოქრუაშვილი და უგულავა, მათ წინააღმდეგაც აღიძრება საქმე? აქვე შეაფასეთ, რა პროცესები დაიწყო ქართულ პოლიტიკაში?***

– 20 ივნისის აქციაზე მოვლენების პირველი წუთებიდანვე იქ ვიყავი და მე მოგიყვებით, რა იყო და როგორ იყო. საქართველომ დაინახა ეთერში საქართველოს ინსტიტუციური გადაბარების მცდელობა, როდესაც ხალხმა დაინახა, რომ გავრილოვს მიჰყავდა პარლამენტში სხდომა რუსულ ენაზე. ასეთი რამე მე არ მინახავს 9 აპრილის შემდეგ.

მე არც ვიცი, ვინ იყვნენ აქციაზე გამოსულები. ჩვენი პარტია მთლიანად იყო გამოსული, მაგრამ სასაცილოა იმაზე საუბარი, რომ პარტიაში ვინმე ნაციონალი მყავს. იმ დროს დაჭერილი ხალხი მყავს ბევრი და ამაზე ლაპარაკი ძალიან სასაცილოა. უბრალოდ, წყალგამყოფი ვითარება შეიქმნა, როდესაც რუსეთისთვის ქვეყნის გადაცემის საფრთხე შეიქმნა.

აიღეთ, რა ხდებოდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც სალომე ზურაბიშვილი აღქმული იყო რუსეთის მომხრედ და ამიტომ მისცეს გრიგოლ ვაშაძეს ხმა. რაღაცა მომენტში იყო მოთხოვნა, რომ პარლამენტში მომხდარიყო შესვლა წარმომადგენლობათა დელეგატების თვალსაზრისით. კარგად მახსოვს 9 აპრილი, მაშინაც ეს ვითარება იყო, რომ ყოფილიყო დალაპარაკება.

დღეს რაც ხდებოდა, ესენი ვინ არიან? ესენი არიან ფაშისტები. იძახიან, თქვენ მოაწყვეთ 26 მაისი და 7 ნოემბერიო, მაგრამ რახან მათ ეს გააკეთეს, ამათაც იგივე უნდა გაიმეორონ?! მე არ ვყოფილვარ 26 მაისის აქციის მონაწილე, მაგრამ მე ვიყავი 7 ნოემბრის მონაწილე და ახლა ამათ 5-ჯერ უარესად გაიმეორეს ხალხზე ძალადობა, „რედისონამდე“ გვდიეს.

ბავშვები უკან ბრუნდებოდნენ და ყვიროდნენ, ამას რას აკეთებთო და ამას მოყვებოდა სახეში რეზინის ტყვიები. ეს იყო წარმოუდგენელი რაღაც. ჩვენ როცა მოვითხოვეთ, კობახიძე წავიდესო, გამოვიდა კობახიძე და გამოგვიცხადა, ჩემი გადადგომა არც განიხილებაო.

***– ამან დაძაბა ვითარება?***

– ამას იქ ამბავი მოჰყვა... გვაქვს ამის კადრები. გვეუბნებოდნენ, რომ თქვენ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სახლში გაგვიშვით და ახლაც გინდათ სახლში გაგვიშვათო?! ანუ გვყიდითო?! ეს პრეტენზია იყო ოპოზიციის მიმართ. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ არაფერი არ გვითქვამსო.

გრიგოლ ვაშაძემ უთხრა, რომ მე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სახლში კი არ გაგიშვით, უბრალოდ არ მინდოდა, რომ ჩემი გაპრეზიდენტების გამო დაპირისპირება მომხდარიყო. ასე ეგზალტირებული იყო შეკრებილი საზოგადოება. ჩვენ ყველა მელია ვიყავით. ღია ეთერში ჩემი სამშობლოს გადაბარება მიმდინარეობდა ოკუპანტი რუსეთისთვის. რას ჰქვია მელიამ მოუწოდა, მთელი საქართველო შოკში იყო. როგორ ბედავენ ამას?!

***– ნიკა მელიას მხრიდან მაშინ მოწოდება ვერ დაინახეთ?***

– თქვენ ამას ხედავდით შემდგომ მოვლენებს, თორემ თავიდან მელიას მოწოდება არ არსებობდა. დედაჩემისგან მაქვს მოსმენილი, რომ 1956 წელს ჯანსუღი (ჩარკვიანი) და კიდევ რამდენიმე ადამიანი დისიდენტები იყვნენ, მაშინ იძახდნენ, რომ თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოსო, ახლაც ასე იყო. წარმოიდგინეთ სადამდე მიიყვანეს ხალხი თავისი ქმედებით, რომ ხალხი ასე იყო ეგზალტირებული.

***– ანუ თქვენ ვითარებას ადარებთ არა 7 ნოემბერს, ან 26 მაისს, არამედ 9 აპრილის მოვლენებსა და საბჭოთა კომუნისტურ ხელისუფლებასთან ბრძოლას?***

– ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს თემა. ეს არ იყო ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნა. ეს იყო ის, რომ გავრილოვმა გაბედა და პარლამენტის სპიკერის სკამიდან რუსულად დაიწყო განცხადებები. რომ იძახიან არ ვიცოდითო, პრეზიდენტის რეზიდენციაში არ იყვნენ, მრავალჟამიერი რომ უმღერეს?!

თუ არ იცოდა სესიაშვილმა, რომელიც უსაფრთხოების კომიტეტს ხელმძღვანელობს პარლამენტში, გამოდის, რომ საქართველოს უსაფრთხოება და უშიშროება არ ჰყავს.

***– ვიხილეთ ხელის შეწმენდის მცდელობა ქუცნაშვილზე. არ გაგიჩნდათ შთაბეჭდილება, რომ ერთ დეპუტატზე უნდოდათ ხელის შეწმენდა და გჯერათ, რომ ეს არ იქნებოდა შეთანხმებული კობახიძესა და ივანიშვილთან?***

– რა თქმა უნდა, ასე იყო. ახალგაზრდები ძალიან კარგად ხვდებიან ვითარებას, ახლა რაც არ უნდა ილაპარაკონ, ყველაფერი რიტორიკა და ნიუანსია. ახალგაზრდობა ეკითხება ხელისუფლებას, გავრილოვი რატომ იჯდა დილით პარლამენტში და შემდეგ რატომ დაარბიეს საპროტესტო მიტინგი.

მთელ ამ ისტორიაში რაც მომწონს, არის ის, რომ რუსეთმა კიდევ ერთხელ ნახა, რომ საქართველოს არ უნდა ოკუპანტი. ეს არის მთელი მესიჯი. ნუ დავიყვანთ ამას ნურც მელიამდე, ნურც პეტრემდე და ნურც პავლემდე... ნურც კობახიძემდე და, სხვათა შორის, ნურც ქუცნაშვილამდე.

როგორც ჩანს, ქუცნაშვილის ნამუსმა დატოვა მისი სხეული. მაგრამ არ ვწირავ და ვამბობ, რომ ერთი სულელ ქუცნაშვილზე და მავნე კობახიძეზე ნუ დავიყვანთ პროცესს. საქართველომ ნახა გადაბარების მცდელობა დილით, პარლამენტში, აი ეს იყო მთელი ამბავი. იქ ვის როგორი გამოხატულება ჰქონდა, მელია თუ ვინც არის, ისიც ადამიანია და სხვადასხვანაირად გამოხატავენ.

გახარიას არ ვთხოვთ პასუხს ჩვენი შვილებისთვის თვალების დათხრაზე და მელია სამშობლოს რომ იცავდა, იმას ვთხოვთ პასუხს?! დაიდოს გახარია, თორემ უარესი მოხდება, გახარია მოაცილონ. საერთოდ დატოვოს ჩემი სამშობლო ჩვენი შვილების თვალების დამთხრელმა ივანიშვილმა.

მე ძალიან მიყვარს ბუნება და ვაჟა-ფშაველასაც აქვს დაწერილი, როცა ხან მუხა ლაპარაკობს, ხან ია. არის ეს ლიტერატურაში, როდესაც მცენარეებთან ასოციაცია ხდება სულის. აი, ხეების მოჭრით თითქოს სულიერება მოაშთო ივანიშვილმა და ადამიანების მოთხრაზე გადავიდა ჩვენი თვალების დამთხრელი ეს პოლიტიკური ჭაობი.

# აშშ-მ ივანიშვილი გააფრთხილა

## წავა თუ არა ოლიგარქი დათმობაზე?

შორენა მარსაგიშვილი

ხელისუფლების მოყვარულები გუშინ, 26 ივნისს, დიდი ზარზეიმით შეხვდნენ პარლამენტის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, ნიკა მელიას დეპუტატის იმუნიტეტი შეუჩერდა. სანამ ისინი სოციალურ ქსელში ზეიმობდნენ და მმართველ პარტიას გულებს-გულებზე უწერდნენ, მათ ლიდერს საკმაოდ მძიმე საუბარი ჰქონდა ამერიკელებთან.

ამ საუბრამდე ცოტა ხნით ადრე კი, საქართველოში აშშ-ის საელჩომ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

ვაშინგტონი საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, რომ იმოქმედოს თავშეკავებულად. დიპლომატიური უწყება დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს.

– აშშ-ის საელჩო ყურადღებით აკვირდება 20 ივნისს თბილისის საპროტესტო აქციების შემდგომ განვითარებულ მოვლენებს საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია დემონსტრანტების მიმართ ძალადობრივი ქმედებებისა და ძალაუფლების გადამეტების ინციდენტების გამოძიება, ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობას, იმოქმედოს გაწონასწორებულად და თავშეკავებით. ახლა ყველაზე მეტად საჭიროა დიალოგი ყველა პოლიტიკურ პარტიას შორის საქართველოს დემოკრატიის გასაძლიერებლად, – ნათქვამია აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა უკვე კარგად გაითავისეს, რომ მარტო ოფიციალური განცხადება საკმარისი არ არის და საქართველოს ბატონ-პატრონთან პირისპირ საუბარიც საჭიროა.

ეს საჭირო საუბარიც შედგა. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ამერიკელებმა გუშინ, 26 ივნისს, ივანიშვილს შუშის სასახლეში მიაკითხეს და მკაცრად გააფრთხილეს, რომ რეპრესიები არ დაუშვას.

ამ დღეებში მედიაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ოცნებას“ დასაჭერი ხალხის სია გამზადებული აქვს და მათი დაკავება ამ დღეებში უნდა მოხდეს.

სახელისუფლებო წყაროებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, პირველი ნიკა მელია უნდა იქნას დაკავებული. დანარჩენ ლიდერებს კი ამის შემდეგ დააკავებენ.

დასაკავებელთა სიაში არიან



ირაკლი ნადირაძე, ლევან ხაბეიშვილი, გუბაზ სანიკიძე, გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი.

ამერიკელების გაფრთხილების შემდეგ, შესაძლოა, ხელისუფლებამ მათი დაკავება გადაიფიქროს. ან არც გადაიფიქროს და ამერიკელები დაარწმუნონ, რომ ისინი რაღაცას ამზადებდნენ.

ეს ყველაფერი პარლამენტში შს მინისტრის გიორგი გახარიას გამოსვლის შემდეგ გადაწყდება. „ოცნებაში“ ამბობენ, რომ გახარია ისეთ მტკიცებულებებს წარადგენს, რომ ქვას გახეთქავს. გახარია საკანონმდებლო ორგანოში ხვალ, 28 ივნისს, უნდა გამოვიდეს.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ შს მინისტრს პარლამენტში გამოსვლის უფლება არა აქვს. ისინი პირობას დებენ, რომ გახარიას საკანონმდებლო ორგანოში არ შეუშვებენ.

ამაში მონაწილეობის მიღება უნდა ნიკა მელიასაც.

იმუნიტეტის შეჩერების შემდეგ ის რუსთაველზე მიმდინარე აქციაზე გავიდა და თავისი სურვილი იქ გააჟღერა.

– იმედია, შესაძლებლობა მომეცემა, თქვენთან ერთად ვიყო 28 ივნისს და აქტიური მონაწილეობა მივიღო, რომ გიორგი გახარიამ აქ შესვლა ვერ გაბედოს და ვერც მელიასავით შეიპაროს. ეს მიმაჩნია პრინციპულად მნიშვნელოვნად ახლა.

მესმის, თითოეულ ჩვენგანში არის, ასევე, დაუოკებელი სურვილი, რომ აი, ახლა, ნახევარ საათში ბიძინა ივანიშვილი აღარ იყოს იქ, სადაც არის. ეს ლეგიტიმური სურვილია, მაგრამ ძალიან ახლოს ვართ ამ დღესთან და მოდით, ახლა ჩვენ ჭკუითაც ვაჯობოთ, – განაცხადა ნიკა მელიამ.

# „ოცნება“ ურჩი დეპუტატების დასჯას იწყებს — ივანიშვილის შურისძიება კაკულიასა და მარიამ ჯაშზე

„ქართული ოცნებამ“ ურჩი დეპუტატები დასჯა გადაწყვიტა. „ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის უშუალო დავალებით, უმრავლესობას იმ დეპუტატებს დაატივებინებენ, რომლებმაც ოპოზიციის ლიდერის, ნიკა მელიასთვის დეპუტატობის შეჩერებას მხარი არ დაუჭირეს.

დადასჯელთა სიაში სავარაუდოდ, მოხვდება პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია. ივანიშვილის რისხვა სავარაუდოდ, არ ასცდება არც მარიამ ჯაშს, რომელიც ივანიშვილის ბრძანების წინააღმდეგ წავიდა.

რომან კაკულიას საკითხზე რომ „ოცნებაში“ საუბარს აპირებენ, დაუმალავს პარლამენტის ვიცე-პიკრს გია ვოლსკის.

არსებული ინფორმაციით, მმართველ პარტიაში დარჩენას თავად კაკულიაც არ აპირებს.

თავად კაკულია ღიად ამბობს, რომ ნიკა მელიას წინააღმდეგ მტკიცებულებები უფრო მაღალი სტანდარტით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

– ვერ შევძელი ამ გადაწყვეტილების მიღება, იმიტომ რომ ვფიქრობ, რომ უფრო მაღალი სტანდარტი უნდა არსებობდეს მტკიცებულებათა წარმოდგენის. მიუხედავად იმისა, რომ ერთია რაც არის სუბიექტური განწყობა მოცემული ფაქტის მიმართ და შეიძლება საზოგადოების დიდ ნაწილს, არც კი ჰქონდეს ეჭვი, რომ ასეთი ტიპის ქმედება აუცილებლად უნდა დასჯადი. მაგრამ, მეორეა სტანდარტი პარლამენტის, იმუნიტეტთან დაკავშირებით, საპარლამენტო რესპუბლიკაში და მგონია, რომ უფრო მაღალი სტანდარტით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. თუმცა ამის გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს, – განაცხადა რომან კაკულიამ.

მისი თქმით, როდესაც დეპუტატი გუნდის წინააღმდეგ მიდის, ის ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს.

– როდესაც შენ გუნდის წინააღმდეგ მიდიხარ, ყველაფერზე მზად უნდა იყო და რაღაც განსაკუთრებულ რევერანსებს არ უნდა ელოდე,



მე მგონი და ამაში არც გასაკვირია რამე, არც არავის ვაკრიტიკებ ამის გამო და არც არავითარი პრეტენზია არ მექნება... მე ყოველთვის მზად ვიყავი ისეთი რამისთვის, როდესაც ასეთ რამეს აკეთებ... – განაცხადა რომან კაკულიამ.

# გედევან ფოფხაძე: „გახარია უნდა გადადგეს“

## „ქართული ოცნება“ ცდილობს არა სინანულის გამოხატვას, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებას“

ნათია ხურცილავა



„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***— ბატონო გედევან, რამდენად გამოვა ჩიხიდან „ქართული ოცნება“?***

— ეს მოვლენები არის იმის მაჩვენებელი, რომ ხელისუფლების მენეჯმენტი სრულებით მოშლილია. „ქართული ოცნება“ არ არის ადეკვატური. პრიორიტეტები არ აქვთ განსაზღვრული. ხელისუფლების მხრიდან არ მოხდა ადეკვატური პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა.

***— პოლიტიკური ფასი გადავიხადეთ — გადადგა კობახიძე, მანდატი დატოვა ქუცნაშვილმაო.***

— არ მგონია, ვაჭრობაზე საუბარი რელევანტური იყოს, როდესაც საქმე ქვეყანას და პარლამენტს ეხება. როდესაც დროულად არ მოხდა პოლიტიკური რეაგირება, როდესაც დროულად არ გადადგა კობახიძე, ამას მოჰყვა ის, რაც მოჰყვა, საკუთარ ხალხზე ძალადობა, სისხლიანი ღამე!

შესაბამისად, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ჩაიწერა ის, რაც მოხდა. ახლა არის მცდელობა, რომ ხელისუფლებამ თქვას — ის, რაც მოხდა, მხოლოდ ჩემი ბრალი არ არის და ამაში დანაშაული ოპოზიციასაც მიუძღვის. ამით ვხსნი ნიკა მელიასადმი ბრალეულობას. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს „ქართულ ოცნებას“ იმ პასუხისმგებლობისგან, რაც მას რეალურად დღეს აკისრია.

ადამიანები ხელისუფლებისგან ელოდებიან უსაფრთხო გარემოს, სამართლიან მიდგომას, ჰუმანურ დამოკიდებულებას, როდესაც ახალგაზრდა გოგო-ბიჭები დემონსტრაციაზე მიდიან და აპროტესტებენ სრულიად სამართლიანად რაც მოხდა, ამ დროს შენ დამიზნებით ესვრი რეზინის ტყვიებს, აქ პროვოცირებაზე საუბარი და თავის გამართლება მიუღებელი და უადგილოა.

***— გახარია უნდა გადადგეს?***

— დიახ, გახარია უნდა გადადგეს.

***— პარლამენტში მოსვლას აპირებს. მოუსმენთ?***

— ამ მოსვლამ და მისმა გამოსვლამ შეიძლება ვითარება კიდევ უფრო დაძაბოს, მაგრამ გააჩნია, რას ილაპარაკებს. თუ განსაკუთრებული ინფორმაცია და არგუმენტაცია აქვს, რის შეთავაზებასაც აპირებს პარლამენტისთვის, მაშინ ამას შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური შედეგი, მაგრამ თუ თავის გამართლებას აპირებს, მაშინ ეს კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას.

***— პოლიტიკური შეთავაზებები, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, ნულოვან ბარიერს, პროპორციულ საარჩევნო სისტემას ვგულისხმობ, გამოიყვანს ჩიხიდან „ქართულ ოცნებას“?***

— პოლიტიკური ვითარება უნდა შეარბილოს, ძალიან კრიზისულ მდგომარეობაში ვიყავით. ეს ნაბიჯები მაინც არის ნიშანი იმის, რომ ხელისუფლება ცდილობს ნაბიჯების გადადგმას, მაგრამ პარალელურ რეჟიმში კიდევ უნდა გადადგას ნაბიჯები, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა ბოლომდე გათავისებული იყოს.

***— კონკრეტულად?***

— დაკავებული ადამიანები უნდა განთავისუფლდნენ. ასევე, ხელი უნდა აიღოს მოსამართლეების თემაზე. კლანის მიერ მართლმსაჯულების მართვაზე. თუ ამ ყველაფერს გაითავისებდა ხელისუფლება, მაშინ ეს იქნებოდა რეალური ნაბიჯი, ადეკვატური გადაწყვეტილება და სიტუაციაც განიმუხტებოდა.



ქართველი ხალხი არ არის უმადური ხალხი და ამას ხელისუფლებას დაუფასებდა, თუ ის დაინახავდა გულწრფელ სინანულს და აღიარებას, მაგრამ დღეს განსხვავებული რეალობა გვაქვს, როდესაც „ქართული ოცნება“ ცდილობს არა სინანულის გამოხატვას, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებას.

# ვინ დაუჭირა მხარი ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერებას

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ნიკა მელიას იმუნიტეტი შეუჩერეს. პლენარულ სხდომას არ ესწრებოდნენ და, შესაბამისად, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ „ევროპული საქართველოსა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს.

კენჭისყრის მომენტში დარბაზში არ იმყოფებოდნენ დამოუკიდებელი დეპუტატები.

კენჭისაყრელად რეგისტრაცია 94-მა დეპუტატმა გაიარა, თუმცა მონაწილეობა 92-მა დეპუტატმა მიიღო.

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ დემოკრატებიდან“ ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერებას მხარი დაუჭირა მხოლოდ გია ჟორჟოლიანმა.

რაც შეეხება დანარჩენ დეპუტატებს, ისინი საპარლამენტო უმრავლესობიდან არიან: ირაკლი აბუსერიძე, რევაზ არველაძე, ბენაშვილი გია, ბეჟანიძე ლევან, ბერაია ირაკლი, დაჩი ბერაია, ბოლქვაძე ანზორ, გიგა ბუკია, ზაზა გაბუნია, გიორგი გაჩეჩილაძე, რუსლან გაჯიევი, გოცირიძე ელგუჯა, გოგა გულორდავა, ოთარ დანელია, მახირ დარზიევი, ისკო დასენი, გოჩა ენუქიძე, ვახტანგაძე მუხრანი, გიორგი ვოლსკი, ვანო ზარდიაშვილი, ზოიძე აკაკი, ცოტნე ზურაბიანი, არჩილ თალაკვაძე, გიორგი თორთლაძე, ედიშერ თოლორაია, რატი იონათამიშვილი, გიორგი კახიანი, პაატა კვიჟინაძე, კიკნაველიძე შალვა, სოფო კილაძე, კობა კობალაძე, ლევან კობიაშვილი, ირაკლი კოვზანაძე, კარლო კოპალიანი, გიორგი კოპაძე, სვეტლანა კუდბა, კახა კუჭავა, კობა ლურსმანაშვილი, დავით მათიკაშვილი, მაკრახიძე იოსები, სამველ მანუკიანი, გენადი მარგველაშვილი, გუგული მაღრაძე, ენძელა მაჭავარიანი, გურამ მაჭარაშვილი, სულხან მახათაძე, მამუკა მდინარაძე, ირაკლი მეზურნიშვილი, მეშველიანი გოგი, სავალან მირზოევი, გრიგოლ მიქელაძე, ენზელ მკოიანი, გიორგი მოსიძე, რომან მუციაშვილი, დიმიტრი მხეიძე, თამაზ ნავერიანი, კობა ნაკაიძე, ილია ნაკაშიძე, სიმონ ნოზაძე, ანრი ოხანაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, რუსლან პოღოსიანი, გელა სამხარაული, დიმიტრი სამხარაძე, ირაკლი სესიაშვილი, დავით სონღულაშვილი, ტრიპოლსკი ერეკლე, ალექსანდრე ქანთარია, მერაბ ქვარაია, მიხეილ ყაველაშვილი, ირაკლი შიოლაშვილი, ჩანქსელიანი გოდერძი, ოთარ ჩრდილელი, თამარ ჩუგოშვილი, დიმიტრი ცქიტიშვილი, ზვიად ძიძიგური, ნინო წილოსანი, წულაია ივლიანე, ჭიჭინაძე გივი, თემურ ჭკუასელი, შოთა ხაბარელი, არჩილ ხაბაძე, ფატი ხალვაში, ხატიძე გიორგი, ხახუბია ირაკლი, თენგიზ ხუბულური, თამარ ხულორდავა, დიმიტრი ხუნდაძე, ზაზა ხუციშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე.

# აშშ-ის საელჩო: მოვუწოდებთ მთავრობას, იმოქმედოს თავშეკავებით

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო რუსთაველის გამზირზე, 20 ივნისის საპროტესტო აქციების შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე განცხადებას ავრცელებს.

როგორც საელჩოს განცხადებაშია აღნიშნული, აშშ-ის საელჩო ყურადღებით აკვირდება 20 ივნისს თბილისის საპროტესტო აქციების შემდგომ განვითარებულ მოვლენებს საქართველოში.



— მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია დემონსტრანტების მიმართ ძალადობრივი ქმედებებისა და ძალაუფლების გადამეტების ინციდენტების გამოძიება, ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობას, იმოქმედოს გაწონასწორებულად და თავშეკავებით. ახლა ყველაზე მეტად საჭიროა დიალოგი ყველა პოლიტიკურ პარტიას შორის საქართველოს დემოკრატიის გასაძლიერებლად, — ნათქვამია განცხადებაში.

# პავლე კუბლაშვილი: „20 ივნისს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შუამავლის როლი შევასრულე“

ყოფილი დეპუტატი პავლე კუბლაშვილი ადასტურებს, რომ 20 ივნისს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შუამავლის როლი შეასრულა და შეეცადა, შს მინისტრსა და ოპოზიციის რამდენიმე ლიდერს შორის შეხვედრა შემდგარიყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პავლე კუბლაშვილმა განუცხადა, ის თავდაპირველად აკაკი ბობოხიძეს, შემდეგ კი შს მინისტრ გიორგი გახარიას დაუკავშირდა. კუბლაშვილის თქმით, გახარიასთან შეხვედრაზე უნდა ყოფილიყვნენ ნიკა მელია, გიგი უგულავა და გრიგოლ ვაშაძე, თუმცა დროში ამ შეხვედრის ორგანიზება ველარ მოესწრო.



— იმ საღამოს აქციაზე, როდესაც ყველა ვაკვირდებოდით ამ დაპირისპირებას, დემონსტრანტებსა და პოლიციის კორდონს შორის, ძალიან ბევრი პოლიტიკოსი მომართული იყო იმისკენ, რომ ეს რაღაცნაირად განემუხტა. მათ შორის მეც ვცდილობდი, რომ სიტუაცია განმუხტულიყო, ვიდრე ესკალაცია პიკს მიაღწევდა. შესაბამისად მე დავუკავშირდი მათ შორის იმ ადამიანებს, ვინც მართავდა იქ პროცესებს. კონკრეტულად აკაკი ბობოხიძესთან მქონდა კონტაქტი. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მთავარი გამოსავალი ყოველთვის არის ხოლმე მოლაპარაკება და შეთანხმება რაღაც საკითხზე. არავის არ უნდოდა დაპირისპირება გაგრძელებულიყო და შესაბამისად მე გავედი კონტაქტზე, მათ შორის მინისტრ გახარიასთან, რომელმაც სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თანხმობა განაცხადა ამ ტიპის შეხვედრაზე პოლიტიკოსებთან, რის შემდეგაც ისევ ორგანიზატორებთან დავბრუნდი და ვცდილობდი შეხვედრა შემდგარიყო. სამწუხაროდ შეხვედრა არ შედგა. როგორც ჩანს, დროში ცოტა ვერ მოვასწარით ამის დაორგანიზება. სიტუაცია კიდევ გამწვავდა ერთხელ და შემდეგ უკვე პოლიციამაც ძალა გამოიყენა. სრულიად თამამად შეგვიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ის ღამე სხვანაირად დამთავრებულიყო და არც ერთი დემონსტრანტი არ დაზარალებულიყო. ეს იყო ჩემი და ყველა იმ ადამიანის მიზანი, ვინც ჩართული იყო ამ პროცესში, — განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

# „ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერება პოლიტიკური სირცხვილია“



ევროპული საქართველოს“ წევრის ირმა ნადირაშვილის შეფასებით, ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერება პოლიტიკური სირცხვილია.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოებას მძაფრი უსამართლობის განცდა დაუტოვა.

— ეს არის პოლიტიკური სირცხვილი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა. ამით მან მარტო ნიკა მელიას კი არ მოუხსნა იმუნიტეტი, არამედ პასუხისმგებლობა აიღო ვითარების რადიკალიზაციაზე, რადგან, ადამიანებს ამ გადაწყვეტილებამ დაუტოვა მძაფრი უსამართლობის განცდა. როდესაც შს მინისტრი ისევ თანამდებობაზეა, პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც არ იღებს და ამ დროს ოპოზიციის ლიდერს უშვებ ციხეში, ეს, რა თქმა უნდა, შერჩევითი სამართლის და უსამართლობის გრძნობას ტოვებს. მე მესმის, რომ დეპუტატებმა მიიღეს დავალებები, შეიძლება ბევრმა საკუთარ ოჯახში თავი იმართლოს — „რა მექნა“, მაგრამ არჩევანი ყოველთვის არსებობს, — აღნიშნა ირმა ნადირაშვილმა.

# ალექსანდრე ბარამიძე: „გახარია დღეს ასოცირებულია სისასტიკესთან“

გახარიამ ამ ადამიანებთან როგორ უნდა იქონიოს ურთიერთობა? ის დღეს ასოცირებულია სისასტიკესთან, სადამსჯელო ოპერაციასთან და დათხრილ თვალებთან, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრის ყოფილმა პირველმა მოადგილემ, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა ალექსანდრე ბარამიძემ განაცხადა.

პარლამენტის წინ საპროტესტო აქციაზე მყოფმა ბარამიძემ „ინტერპრესნიუსთან“ აღნიშნა, რომ გიორგი გახარიას გადადგომის თაობაზე მოთხოვნა ლოგიკური და ლეგიტიმურია და ადრე თუ გვიან ეს მოხდება.

— ეს არის ადამიანი, რომელმაც, სავარაუდოდ, გასცა ბრძანება იმ ავბედით ღამეს ჩვენი გოგონებისა და ბიჭების სასტიკად დარბევის თაობაზე. ის, რომ ხელისუფლება ამაზე ჯერჯერობით არ რეაგირებს, ბევრს არაფერს ნიშნავს, ადრე თუ გვიან გიორგი



გახარიას გაშვება მიუწევთ, რადგან როდესაც ქალაქის ცენტრში, პარლამენტის წინ მისი ასეთი ბიუსტი დგას, სისხლში შეღებილი და სისხლიანი ზონარით, თავისთავად გროტესკული ბიუსტი, ეს არის საზოგადოების დამოკიდებულება ამ ადამიანის მიმართ. მინისტრმა ამ ადამიანებთან როგორ უნდა იქონიოს ურთიერთობა? გახარია არის დღეს ასოცირებული სისასტიკესთან, სადამსჯელო ოპერაციასთან, დათხრილ თვალებთან, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ბარამიძემ.

# სალომე ზურაბიშვილი: „ქვეყანაში დემოკრატია არ იქნება ჟურნალისტების გარეშე და სახელმწიფო არ იქნება პოლიციის გარეშე“



ქვეყანაში დემოკრატია არ იქნება ჟურნალისტების გარეშე და სახელმწიფო არ იქნება პოლიციის გარეშე! — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა. მან მადლობა გადაუხადა ჟურნალისტებს, პოლიციელებსა და ექიმებს, რომლებიც 20 ივნისის აქციაზე პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.

— ჟურნალისტებს შორისაც არიან დაზარალებულები. ისინი თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ. მინდა მათ მიმართ თანადგომა გამოვხატო. ასევე პოლიციელების მიმართ, რომლებიც იმ ღამეს არნახული ძალადობის ქვეშ იყვნენ და ძალიან დიდხანს გაუძლეს ამ ძალადობას. არ შევეხები ძალის გადამეტების საკითხს. ამის შესახებ მიმდინარეობს გამოძიება. ეს გამოძიებისა და სასამართლოს საკითხია. ვინც დასასჯელია, უნდა დაისაჯოს. ეს არ უნდა გადავიდეს ყველა პოლიციელზე, რადგან ამ ქვეყანაში დემოკრატია არ იქნება, თუ არა ჟურნალისტები, სახელმწიფო არ იქნება, თუ არა სამართალდამცველები, საზოგადოება არ იქნება თქვენ გარეშე, — მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ექიმებსა და სასწრაფო დახმარების სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებიც დღეს სასახლეში მიიწვია და დააჯილდოვა.

# გიორგი ახვლედიანი: „ნაციონალებს პროპორციული სისტემა არ უნდათ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ახვლედიანი პასუხობს.

***— გიორგი, ქაოსური სიტუაციაა ქვეყანაში. სულ იყო საუბარი იმაზე, რომ საზოგადოების მოთმინება პიკზეა და მცირე მიზეზი სჭირდებოდა ქუჩაში გამოსასვლელად. ვხედავთ, რა ხდება პარლამენტში და პარლამენტს გარეთ. რა გამოსავალს ხედავთ ამ სიტუაციიდან? რატომ მივედით ასეთ კრიტიკულ ზღვრამდე?***

— მივედით იმიტომ, რომ ის რაც ხდება ბოლო 7 წლის განმავლობაში, ეს ყველაფერი მივიდა სწორედ „ქართული ოცნების“ მიერ ნაციონალური მოძრაობის არგასამართლებით და საბოლოო ჯამში მივიღეთ ეს შედეგი. როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ ყველა უნდა გავანადგურო და მარტო ნაციონალური მოძრაობა დავიტოვო, ამ კოჰაბიტაციის ხემ დაიწყო ნაყოფის გამოღება.

ამას რომ ვუყურებ, მახსენდება სულხან საბას კუ და მორიელი. კუ არის „ქართული ოცნება“ და მორიელი ნაციონალური მოძრაობა. „ოცნებამ“ გადაწყვიტა მორიელი ნაცმოძრაობა გადაეყვანა მეორე ნაპირზე და ამათმა, როგორც კი სამშვიდობოს იგულეს თავი, დაგესლეს კუ. მოიკრიბეს ძალა და გადავიდნენ შეტევაზე.

***— ეს ყველაფერი ვერ ამართლებს „ქართული ოცნების“ მიერ დაშვებულ შეცდომებს და 20 ივნისის ღამეს.***

— რა თქმა უნდა, ვერ ამართლებს. „ქართული ოცნება“ თავისთავად არის ძალიან სუსტი, არაფრის გამკეთებელი და შეცდომის შეცდომაზე დამშვები პოლიტიკური ძალა. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ისეთი სისხლიანი ძალაა, როგორიც წინა ხელისუფლება იყო. სწორედ ამიტომაც შეინარჩუნეს 7 წელიწადი მეტნაკლები სტაბილურობით ხელისუფლება.

ეს ხელისუფლება თავისი არაადეკვატური შეცდომებით და არაპროფესიონალიზმით, ხელისუფლებაში დილეტანტების ყოფნის შედეგად, მივიდა იმ სისულელეებამდე, სადამდეც მიიყვანა ვითარება და ბოლოს ეს ყველაფერი დააგვირგვინა გავრილოვით. პატარა ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ კომუნისტი გავრილოვი პარლამენტის სპიკერის სკამში და იქიდან წაყვანილი სხდომით ძალიან მიუღებელია!

***— სწორედ ამიტომ ამოხეთქა მოთმინებამ ხალხში.***

— დიახ და ეს გავაპროტესტეთ ყველამ. ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო კობახიძის გადადგომა და კარგია, რომ გადადგა. გავრილოვის ჩამოყვანას და გასამართლებას ჩვენ ვერ შევძლებთ.

მერე ძალიან ცუდი რამ მოხდა.

***— რას გულისხმობთ?***

— როდესაც ცუდ რაღაცას აკეთებ ხელისუფლება, მერე იმისი ადგილი უნდა გქონდეს, რომ ბოლომდე თქვა, რომ შემეშალა, ეს ოხერი! გამოდის ახლა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი და მეუბნება, რომ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი გავრილოვის მხრიდან, რომ თურმე თვითონ გაიქცა და ჩახტა იმ სავარძელში. ასეთი განცხადებები ისევ ჩვენ, ჩვენს ქვეყანას აზარალებს. ეს ყველაფერი მოხდა უკვე, კარგია და სწორია, რომ წავიდა კობახიძე.



***— გახარიას გადადგომაა დღეს მთავარი მოთხოვნა.***

— 20-ში, საღამოს 10 საათიდან კონკრეტული ზონდერჯგუფები მუშტიკრივით ამტვრევდნენ სპეცრაზმის ფარებს. აქ უკვე სხვა პროცესები დაიწყო.

***— რა პროცესები?***

— ვილას ახსოვდა მანდ გავრილოვი. იქ იყო პირდაპირ კონკრეტული მიზანი, რომ მომხდარიყო უსერიოზულესი პროვოკაცია. რატომ მიიწევდნენ პარლამენტის შენობისკენ, თუ ეს არ იყო მიზანმიმართული პროვოკაცია?! მაგრამ პარლამენტში შესვლა არ იყო მიზანი. იქ უნდოდათ თავპირის მტვრევა, ჩხუბი, დარბევა და შემდეგ დასახიჩრებული ადამიანების ჩვენება.

თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო, იმ თვალსაზრისით კარგად, რომ აშკარად ადეკვატურად ჩანდა სპეცდანიშნულების რაზმების ქმედება. მთელი ორი საათი ისინი აშკარად თავს იცავდნენ.

***— თუმცა ბოლოს ძალას გადაამეტეს და ეს არ იყო უბრალოდ ძალის გადამეტება. ეს იყო სასტიკი ქმედება.***

— დიახ და რა მოხდა უკვე ბოლოს, როდესაც კიდევ ერთხელ დაბრუნდნენ მომიტინგეები, რატომ მოხდა ეს, როდესაც გამოყენებული იქნა არაადეკვატური და გადამეტებული ძალის და ამ რაღაცა იდიოტური რეზინის ტყვიების გამოყენება, არ ვიცი.

ამხელა ტყვია, რაღაცა სტაფილოსფერი, რომელიც კანს ხეთქავს, ეს რაღაცა ახალია. ეს არაფრით არ უნდა მომხდარიყო. არ ვიცი, რა მოხდა, ეს იყო კონკრეტული, მიზანმიმართული დავალება, ეს იყო გადაცდომა რომელიმე ადამიანის, არ ვიცი, რა იყო ეს.

ეს ყველაფერი უნდა დაადგინონ და პირდაპირ გეუბნებით, დედა უნდა უტირონ ყველას, ვინც ასეთ სიტუაციაში ასე გადაამეტებს თავის ძალაუფლებას.

ადამიანები დასახიჩრდნენ. ეს გადამეტება ყველაზე საშინელი გადამეტებაა. მე ნამდვილად მაქვს ამის მოთხოვნის უფლება, თქვენ და კიდევ ძალიან ბევრს, მილიონობით ადამიანს, მაგრამ ნაცმოძრაობის ლიდერებს, იმბეცილ სააკაშვილს, ამის მორალური უფლება არ აქვთ, რომ ეს მოითხოვონ.

***— თუმცა ეს მაინც ვერ ამართლებს 20 ივნისის ღამეს.***

— არა, რა თქმა უნდა, მე ამის გამართლება არც მიფიქრია. მთელ საქართველოს გვაქვს უფლება მოვთხოვოთ ამაზე პასუხი, მაგრამ სააკაშვილს და მის ხროვას არა აქვს ამის უფლება.

ამ ყველაფრის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მართალია, იძულებით, ძალიან მძიმე ფონზე, ცაიტნოტურ მდგომარეობაში, მაგრამ მაინც მიიღო — შეცვალა საარჩევნო სისტემა.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რამ. ეს რომელიმე პარტიას კი არ სჭირდება, ქვეყანას სჭირდება. წარმოიდგინეთ, ახლა რას აკეთებს ნაციონალური მოძრაობა!

***— რას აკეთებს?***

— ნაციონალური მოძრაობა პირდაპირ გვეუბნება, რომ უნდა გადადგეს გახარია და თუ არ იქნება ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული, მათ არ უნდათ პროპორციული საარჩევნო სისტემა. ახლა ყველაზე დიდი საფრთხის მატარებელი არის სწორედ ეს.

რომელიღაცა ადამიანის თანამდებობის გამო არ უნდა ჩავშალოთ ეს უზარმაზარი საქმე საქართველოსათვის. კი ბატონო, კარგია, რომ კობახიძე წავიდა, მაგრამ თალაკვაძე რომ მოვიდა, ამით რამე შეიცვალა?! რამე უკეთესი ამ ქვეყანას მოუტანა ამან? მე მგონია, რომ არაფერი უკეთესი ამას არ მოუტანია.

საარჩევნო სისტემის ცვლილება თუ ჩავარდა ვინმეს თანამდებობის ულტიმატუმის გამო, ეს ყველაზე დიდ პრობლემას მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

***— ჩავარდება?***

— სწორედ ეს დამოკიდებულება აქვს ნაცმოძრაობას, რომ ამ ქვეყანაში ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა, თუ მე არ ვიქნები ხელისუფლებაში!

როგორ შეიძლება დღეს საარჩევნო სისტემას რამე ალტერნატივა დაუყენო. კი ბატონო, მოვითხოვოთ გახარიას გადადგომა, მოვითხოვოთ ყველანაირ კონტექსტში, მაგრამ ულტიმატუმი, რომ ამაზე არ დავჯდები, ამ მოლაპარაკებაზე არ წავალ, ეს არ მაინტერესებს, ეს არის პირდაპირ დანაშაული!

ნაცმოძრაობას ყველაზე მეტად არ აწყობს, როგორც აქამდე „ქართულ ოცნებას“ არ აწყობდა, პროპორციული საარჩევნო სისტემა ნულოვანი ბარიერით, იმიტომ, რომ ეს ნაცმოძრაობის განადგურებას ნიშნავს. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტში მხოლოდ ნაცმოძრაობა და „ოცნება“ აღარ იქნებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი ისეთი მრავალპარტიული იქნება, რომ ფონს ასე მარტივად ვეღარ შექმნიან, როგორც ამას დღეს ახერხებენ.

ამიტომაც ამოხტა სააკაშვილი მაისურიდან, რომ თურმე არავითარ შემთხვევაში პროპორციულზე გადასვლას მხარი არ უნდა დაუჭირონ და ვინც მხარს უჭერს, ის სულელია.

ის საკმაოდ ჭკვიანია იმისთვის, რომ თავისი ინტერესი გაატაროს, თუმცა მას, როგორც იტყვიან, დროშები დაეხა.

## სომხეთი ცდილობს, რუსეთსა და საქართველოს შორის ტრანზიტის ცენტრი გახდეს



რუსეთსა და საქართველოს შორის ბოლოდროინდელი დაძაბულობის შემდეგ, სომხეთი ცდილობს, გახდეს რუსეთსა და საქართველოს შორის ავიამიმოსვლის ტრანზიტის ცენტრი.

ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროს სტეპან პაიასლიანის თქმით, ავიაკომპანიებს შორის უკვე დაიწყო შესაძლებელი ვარიანტების განხილვა.

— მაგალითად, შეიძლება რუსეთიდან თვითმფრინავით ჩასვლა ერევანში, იქედან კი უფასო ავტობუსით თბილისამდე და პირიქით. ასევე განიხილება უკვე არსებული ავიარეისების სიხშირის ზრდის შესაძლებლობა. მაგალითად, ეორგიან ჲირწაყ ასრულებს კვირაში 7 ავიარეისს თბილისს და ერევანს შორის და განიხილება დამატებითი რეისების დანიშვნა, — ამბობს ის.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის მრჩევლის საავიაციო საკითხებში აკოპ ჩაგარიანის თქმით, ქართული ავიაკომპანიები, რომლებიც ახორციელებდნენ რეისებს საქართველოდან რუსეთში, უკვე ემზადებიან სომხეთის გავლით ფრენებისთვის.

— მთავარი გადამზიდავი იქ არის ეორგიან ჲირწაყ — ჲირზენა, რომელიც არის ჩვენი ავიაკომპანია ჲრმენიას პარტნიორი, და ალბათ სწორედ ის შეასრულებს რეისებს ერევნის ამ გიუმრის გავლით რუსეთის მიმართულებით, — განაცხადა მან.

ავიაკომპანია ჲრმენია-ს დირექტორის მოადგილის გევორკ ხაჩატრიანის თქმით, 9 ივლისიდან კომპანია გეგმავს ახალი რეისების დანიშვნას ორ მიმართულებაზე — მოსკოვი-ერევანი და ერევანი-თბილისი.

პრემიერ-მინისტრი შიშობს, რომ რუსი ავიაგადამზიდავები დაიწყებენ საქართველოს მიმართულებით ფრენებს ბაქოს გავლით.

— ძირითად რუს გადამზიდავებს აქვთ პარტნიორული შეთანხმებები აზერბაიჯანულ ჲზალ-თან და სავარაუდოდ, აზერბაიჯანული მხარე გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს ამ რეისების თავისკენ გადმოქაჩვისთვის, — აღნიშნა ჩაგარიანმა.

kavkasia.net

## „რუსთაველზე რაც მოხდა, საშინელებაა, ჩვენ კი „ვაგზალზე“ ლუკმაპურისთვის ვიბრძვით“

თბილისში მასშტაბური სამოქალაქო პროტესტის მეშვიდე დღე იწყება. ცოტა ხანში რუსთაველის გამზირზე ახალგაზრდობა ისევ შეიკრიბება და ისევ იქნება შეძახილები — „რუსეთი ოკუპანტია“, „ჩვენ ვიბრძვით თავისუფლებისთვის“, „ჩვენ ვიბრძვით ღირსებისთვის“...



ცოტა ხანშივე ვაგზლის მოედანზე, სადაც სიღარიბე ყველაზე მძაფრად იგრძნობა, დილიდან დაღლილი, სიცხისგან გათანგული, მაგრამ მაინც საფულეცარიელი მოვაჭრეები გაუყიდავ პროდუქტებს აალაგებენ და სახლებისკენ დაიძვრებიან, ან იქნებ საპროტესტო აქციასაც შეუერთდნენ...

როგორ აისახება ქვეყანაში მიმდინარე პროცესები იმ ადამიანებზე, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მტვრიან ქუჩაში გადარჩენისთვის იბრძვიან.

პირველი რესპონდენტი, რომელიც „კომერსანტმა“ ჩაწერაზე დაითანხმა, ლელა ვეფხვაძე (უმეტესობას არაფერზე და არავისთან სურს საუბარი — ასე გვეუბნებიან), უსინათლო ქალი, რომელიც 30 წლის წინ, 9 აპრილს დემონსტრანტებს თავისი სიმღერით ამხნევებდა. დღეს ლელა ვეფხვაძე მეტროში სიმღერით ირჩენს თავს.

30 წლის შემდეგაც ლელა ვეფხვაძეს უწევს იმის თქმა, რომ — „რუსეთი ოკუპანტია“ და „რუსეთი კლავს“.

— გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სკამში დანახვაზე, ლოგიკურია, გვექნებოდა რეაქცია, რადგან რუსეთი ოკუპანტია. მადლობა მინდა გადავუხადო იმ ახალგაზრდებს, რომლებიც რუსთაველის გამზირზე დგანან და რომელთაც რეალურად უყვართ ქვეყანა. რუსეთთან ჩვენ არაფერი არ გვაქვს დასათმობი, ჩვენ არაფერი წაგვირთმევია მათთვის, მათ წაგვართვეს და კეთილი ინებონ და დათმონ ის, რაც წლების წინ წაგვართვეს, — ამბობს ლელა ვეფხვაძე.

დანიშნულების შემდეგი ადგილი „დეზერტირების ბაზარია“. აქ ადამიანებისთვის თითქოს ყველაფერი სულერთი გახდა, აღარც ცვლილებების იმედი აქვთ, აღარც მომავლის. შესაბამისად, აღარც ხმამაღლა საუბარი სურთ.

ლალი „დეზერტირების ბაზარში“ წლებია ბოსტნეულს ყიდის. გვიყვება, რომ პურის ფულის გამოსამუშავებლად და ოჯახის შესანახად ძალიან ბევრს წვალობს, მაგრამ მიუხედავად შრომისა, უკიდურეს გაჭირვებაში უწევს ცხოვრება.

— რა უნდა ვთქვა ასეთ არეულობაში ... ბაზარშიც კი არ მოდის ადამიანი, ვწვალობთ ძალიან და მაინც არაფერი გამოდის. ყველაფრის ფასმა მოიმატა, წინა წელთან შედარებით დაახლოებით ერთი ლარით არის ფასები გაზრდილი, ბალს რომ ლარნახევრად ვყიდდით ახლა ორნახევარი ღირს, მყიდველიც ორჯერ შემცირდა, — ამბობს ბოსტნეულის გამყიდველი ქალი.

მრავალშვილიანი ოჯახის ერთადერთი მარჩენალია სამირაც. ახალგაზრდა ქალი ამბობს, რომ სახელმწიფო თავის მოქალაქეებზე არ ზრუნავს.

— მარწყვი შარშან 3 ლარი ღირდა წელს 4-5 ლარის ღირს, საშუალოდ 1,5 გაიზარდა ფასები. შარშან უფრო მეტი ადამიანი იყო, ხალხი უმუშევარია, როგორ უნდა იყიდონ, ყველაფერი ძვირია. 7 ადამიანი ვცხოვრობთ და მარტო მე ვმუშაობ, ხო არ მოვკლავ შიმშილით, არაა სამუშაო სად წავიდნენ, ადრე ქარხანა-ფაბრიკები მუშაობდა, ახლა არაფერი არაა. ქვეყანაში არეულობა როა, თავიანთი სკამებისთვის იბრძვიან, ჩვენ არავის ვედარდებით, — ამბობს სამირა.

ბაზარში ადამიანების ნაკლებობაზე საუბრობს კიდევ ერთი რესპონდენტი, რომელმაც იდენტიფიცირება არ ისურვა. საუბარში ეტყობა, რომ გაბრაზებულია, ამას ხმამაღლაც გვეუბნება, ამბობს, რომ გაბრაზებულია იმ ადამიანებზე, რომლებმაც დღევანდელი მძიმე რეალობა შექმნეს.

— საშინელი ცხოვრებით გვიწევს ცხოვრება, მე არაფერი აღარ მომისწრებს და ახალგაზრდებმა მაინც იცხოვრონ ნორმალურად. ბაზარში მყიდველიც კი კანტიკუნტად გვყავს, ვის გავუზარდოთ ფასები, არავინ არ არის, — ამბობს ბაზარში მოვაჭრე ქალი.

სიტუაცია არ შეცვლილა არც ტანსაცმლის ბაზრობაზე. 62 წლის თინა გოგია ამბობს, რომ წლებია ფეხსაცმლის გაყიდვით ირჩენს თავს, თუმცა, ისეთი ვითარება, როგორიც დღესაა, არასდროს ყოფილა. თინა ამბობს, რომ ბოლო პერიოდში ყოფილა ისეთი კვირები, როდესაც ერთი წყვილი ფეხსაცმელიც კი არ გაუყიდია.

— კარგს ვერაფერს ვხედავთ, უარესობისკენ მივდივარ. წლებია უკან-უკან მიდის ბიზნესი, მყიდველმაც იკლო და მთავრობამ გაგვატყავა მთლიანად, იმდენს გვახდევინებენ იჯარაში. პროდუქციის ფასი იმატებს, დოლარი ყოველდღე მატულობს. ადამიანები ვერ ყიდულობენ, 20 ლარი აქვთ ჯიბეში და 100 ლარიან ბოტასს კიდებს ხელს, ესაა ცხოვრება?

ჩვენ მოგიყევით ხუთი ქალის ისტორია, რომელიც დილის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე გადარჩენისთვის იბრძვის, იმედი ხუთივეს დაკარგული აქვს, თუმცა ვაგზლის მოედანზე ასობით ადამიანი შეგხვდებათ დაღლილი სახეებით, რომელთა თვალებშიც მხოლოდ იმედგაცრუება იკითხება.

— რუსთაველზე რაც მოხდა, საშინელებაა, ჩვენ კი „ვაგზალზე“ ლუკმაპურისთვის ვიბრძვით. იქნებ თქვენ, ახალგაზრდებს მაინც გეღირსოთ ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება, — მხარზე მეფერება დალი ბებო და მძიმე ვედროთი დატვირთული სახლისკენ აგრძელებს გზას.

**კომერსანტი**

# „ტურისტების 80–90% რუსეთიდან იყო, ახლა შეიძლება სასტუმროები ცარიელი დამრჩეს“

– ტურიზმის ადმინისტრაციისა და საქსტატიდან აღებული ციფრების მიხედვით, თუ რუსი ტურისტების საქართველოში ჩამოსვლას შეწყვეტენ, სავარაუდო დანაკარგი 750 მილიონი დოლარი იქნება. ყველაზე მეტად კი აჭარა დაზარალდება, – ეს განცხადება რამდენიმე დღის წინ „საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის“ დამფუძნებელმა შალვა ალავერდაშვილმა გააკეთა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, როგორც ხვდება სასტუმროს ბიზნესი ეგრეთ წოდებულ ტურისტულ ემბარგოს და რა მოლოდინები აქვს ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით?

ბათუმში მდებარე საოჯახო სასტუმრო „პალმას“ ადმინისტრატორი დარინა იაკობიძე „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ შექმნილი სიტუაციის გამო რუსეთიდან ჯავშნები გაუქმებულია. მისი ინფორმაციით, სასტუმროს მენეჯმენტისთვის ეს ფაქტი იქნება სტიმული იმისთვის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს და რუსი ტურისტების დანაკლისი სხვა ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორებისგან ან ადგილობრივი ტურისტებისგან აინაზღაუროს.

მისი განმარტებით, თუ რუსი ტურისტები მაინც იქნებიან სასტუმროში, ყველანაირად შეეცდებიან აუხსნან, რომ მათ უსაფრთხოებას საფრთხე არ ემუქრება. იაკობიძის ინფორმაციით, სასტუმროში დამსვენებლების 30-40%-ს რუსები წარმოადგენდნენ.

მესტიაში მდებარე „მარიანას საოჯახო სასტუმროს“ მფლობელი მარიანა ფალიანი აცხადებს, რომ ტურისტების 50%-ს რუსები არიან. შესაბამისად, შექმნილი ვითარება სასტუმროს შემოსავალს შეამცირებს, თუმცა, ისე არა, რომ საკურორტო სეზონი ჩაშლილად გამოაცხადოს.

ფალიანი განმარტავს, რომ აუცილებელია სასტუმროს ბიზნესის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ერთიანი ხედვა, რომელიც ადგილობრივ ტურისტებზე ფასდაკლებას გულისხმობს.

– მე პირადად ქართველ ტურისტებს 40-50%-იანი ფასდაკლებით ვიღებ. თუ საუზმის გარეშე 1 ადგილიანი ნომერი 30 ლარი ღირს, ადგილობრივ ტურისტებს 15 ლარად მივიღებ. შემოსავალი შემიმცირდება, მაგრამ ცარიელ ნომერს ხომ ჯობს აქტივობა მქონდეს. ასე უფრო ნაკლებად დავზარალდები, – აცხადებს ფალიანი.

მისი განმარტებით, ამ დროისთვის უკვე დაჯავშნილია ივლისის და აგვისტოს პერიოდი. საკმაოდ დიდი ინტერესია ევროპიდან, მათ შორის, პოლონეთიდან, ჩეხეთიდან და ასე შემდეგ.

„რუსულ ემბარგოს აუცილებლად ღირსეულად გადავიტანთ“ – აცხადებს ფალიანი.

სიღნაღში მდებარე საოჯახო სასტუმრო „ტყუპების“



ხელმძღვანელი ზაურ მუღრაშვილი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ტურისტების 80-90% რუსეთიდან იყო. ახლა კი, ბოლო დღეებში შექმნილი მდგომარეობის გამო, რუსებმა დატოვეს სასტუმრო, ჯავშნებიც გაუქმებულია. მუღრაშვილი იმედოვნებს, რომ საკურორტო სეზონი ჩაშლის პირამდე არ მივა და მისი სასტუმრო შემოსავალს მცირედი დოზით მაინც მიიღებს.

– ბუქინგიდან ჯავშნიდნენ რუსები. მე ძირითადად ეგ კატეგორია მყავდა. ქართველები ნაკლებად, სად აქვთ ქართველებს საშუალება, ზოგს ისე უჭირს, ლუკმაპური არ აქვს, რა დასვენებაზეა საუბარი. ახლა თუ რუსებიც აღარ მოვიდნენ, დამრჩება სასტუმრო ცარიელი, – აცხადებს მუღრაშვილი.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიმდინარე წლის 8 ივლისიდან რუსულ ავიაკომპანიებს დროებით აუკრძალა რუსეთის ფედერაციიდან საჰაერო გადაყვანები საქართველოს მიმართულებით, მათ შორის, კომერციული ხასიათის. ვლადიმერ პუტინის შესაბამისი განკარგულება კრემლის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ აკრძალვის მიზანია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და რუსეთის მოქალაქეების დაცვა.

ამასთან, ტუროპერატორებისთვის და აგენტებისთვის რეკომენდებულია, აკრძალვის პერიოდში თავი შეიკავონ ისეთი ტურისტული პროდუქტის რეალიზაციისგან, რომელიც საქართველოში მოგზაურობას შეეხება.

რუსეთის ამგვარი რეაქცია მოჰყვა საქართველოს პარლამენტში რუსეთის დუმის დეპუტატის, სერგეი გავრილოვის გამოსვლის შემდეგ დაწყებულ პროტესტს – გავრილოვს პარლამენტის შენობა დაატოვებინეს, თბილისში კი ანტისახელისუფლო და რუსეთის ოკუპაციის საწინააღმდეგო მასობრივი დემონსტრაციები დაიწყო.

# რუსეთის ტუროპერატორების ასოციაცია — რუსი ტურისტები მაინც ჩამოდიან საქართველოში



რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობა, ვინც გეგმავდა ამ ზაფხულს საქართველოში ჩასვლას, არ აუქმებს შეკვეთილ ტურებს – იუწყება რუსეთის ტუროპერატორების ასოციაცია.

„ნეგატიური პროგნოზების მიუხედავად, შექმნილი სიტუაცია არაა კრიტიკული. ტურების გაუქმების მაჩვენებელი მინიმალურია“ – განაცხადეს ასოციაციაში.

როგორც აღმოჩნდა, რუს ტურისტებს არ აშინებთ საავიაციო მიმოსვლის აკრძალვა – ასოციაციის მონაცემებით, ამჟამად საქართველოში წამსვლელები ჯავშნიან ბილეთებს სხვა ქალაქების გავლით.

უკვე გაჩნდა სხვადასხვა ვარიანტები – მაგალითად, ჩასვლა თვითმფრინავით ბაქოში ან ერევანში, იქიდან კი – უფასო ავტობუსებით თბილისამდე.

ასევე არის სხვა შესაძლებლობები – საქართველოში ჩამოსვლა მინსკის ან კიევის გავლით.

**კომერსანტი**

# კვირის განმავლობაში 7 დღით მუშაობა, შესაძლოა, აიკრძალოს




კვირის განმავლობაში 7 დღით მუშაობა, შესაძლოა, აიკრძალოს.

ამის შესახებ შრომის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების კანონპროექტშია აღნიშნული. პროექტი, რომლის ავტორიც პარლამენტის წევრი ბექა ნაცვლიშვილია, საკანონმდებლო ორგანოში უკვე დარეგისტრირდა.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, დღეს შრომის კოდექსი კვირის განმავლობაში დასვენების დღეების ოდენობას არ ადგენს. რის გამოც ხშირად გვხვდება, რომ დასაქმებულები კვირაში 7 დღეს მუშაობენ.

ცვლილების შედეგად კი, შრომის კოდექსში გაჩნდება ისეთი ჩანაწერი, რომელიც დასაქმებულთათვის კვირაში სამუშაო დღეების მაქსიმალურ ოდენობად – 6 დღეს დაადგენს. შესაბამისად 1 კვირის განმავლობაში დამსაქმებელს შეეძლება პირი, მხოლოდ 6 დღით დაასაქმოს.

– დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი და დასაქმებულის შესასრულებელი სამუშაო ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს – კვირაში 48 საათს. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს.

შრომის კოდექსში აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებდეს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, მაგრამ შესასრულებელი სამუშაო თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე არ ითვალისწინებდეს აღნიშნულს სხვა დასაქმებულთათვის.

ადამიანის ჯანმრთელობის ფიზიკური, გონებრივი თუ პირადი ცხოვრებისათვის, დამსაქმებელმა დასაქმებული უნდა უზრუნველყოს ნამუშევარი საათების ადეკვატური დასვენების დროით, მაგალითად, როდესაც ცვლიანობის განრიგი ითვალისწინებს დასაქმებულის მიერ 18 საათიან ან 24 საათიან სამუშაო დროს, ცვლის დასრულების შემდეგ დასაქმებულის დასვენების დრო უნდა შეადგენდეს მინიმუმ 18 ან შესაბამისად 24 საათს, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

ამასთან, ახალი რედაქციით დამსაქმებელი ვალდებული იქნება აწარმოოს სამუშაო დროის აღწერა და აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამუშაო დროის შესახებ წარმოშობილი დავის შემთხვევაში, სწორედ მას ეკისრება სამუშაო დროსთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ავტორ/ინიციატორი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას ითხოვს.

**ბპნ**

# „საქართველოს ბიზნესასოციაციაში“ რადიკალური ცვლილებები იგეგმება



„საქართველოს ბიზნესასოციაციაში“ ბევრი რამე შეიცვლება“– ასეთ განცხადებას „საქართველოს ბიზნესასოციაციის“ უკვე პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლაშა პაპაშვილი „კომერსანტთან“ აკეთებს. მისი ინფორმაციით, ასოციაციაში გუნდი მთლიანად შეიცვალა, არჩეულია „საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი“ სოსო ფხაკაძე, ასევე ახალი აღმასრულებელი დირექტორი ლევან ვეფხვაძე, მეორე ვიცე-პრეზიდენეტი -არჩილ კონცელიძე.

როგორც პაპაშვილი განმარტავს, ასოციაცია უფრო მობილური იქნება. მიმდინარეობს 5-წლიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება. გადაიხედება 6 თვის ბიუჯეტიც. პაპაშვილის ინფორმაციით, დაახლოებით ივლისის ბოლოსთვის ახალი გუნდი, ახალი ხედვით წარდგება.

კითხვაზე, კონკრეტულად რა ნაწილში იგეგმება რადიკალური ცვლილებები, პაპაშვილი განმარტავს, რომ დეტალები ერთ თვეში იქნება, თუმცა, აღნიშნავს, რომ ასოციაცია 10 წლის განმავლობაში მთავრობის ამა თუ იმ ფრთასთან ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობდა. ახლა ეს სამუშაოები უფრო ინტენსიურად მოხდება.

– ვფიქრობთ, წარმომადგენლები გვყავდეს პარლამენტში, ეკონომიკური ბლოკის მინისტრებთან კომუნიკაცია ძალიან აქტიური გვინდა გახდეს. ჩვენი სურვილია, რომ ბიზნესის საზიანოდ არც ერთი გადაწყვეტილება არ იქნას მიღებული, – აცხადებს პაპაშვილი.

აღსანიშნავია, რომ გუშინ BAG-ის საერთო ყრილობაზე წევრების უმრავლესობამ მხარი „საქართველოს ბიზნესასოციაციის“ პრეზიდენტის თანამდებობაზე სწორედ სოსო ფხაკაძეს დაუჭირა. ის ერთადერთი კანდიდატურა იყო. რაც შეეხება საქართველოს ბიზნესასოციაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტის პოსტს, მას ლაშა პაპაშვილი დაიკავებს. კიდევე ერთი სიახლე არის ის, რომ მოხდება ბიზნესასოციაციის სამეურვეო და სამეთვალყურეო საბჭოს შეერთება. გუნდი 25 წევრით დაკომპლექტდება. შეგახსენებთ, რომ აქამდე აღნიშნული ორგანოები ცალ-ცალკე ოპერირებდნენ.

ცნობისთვის, გიორგი ჭირაქაძემ საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტის თანამდებობა მიმდინარე წლის აპრილში დატოვა, რის შემდეგაც ასოციაციის წესდების თანახმად, ყრილობის ჩატარებამდე პრეზიდენტის პოზიცია ვიცე-პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ დაიკავა.

**კომერსანტი**

# მიზეზები, რამაც ლარის კურსის ახალი ანტირეკორდი გამოიწვია



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება, ლარზე გაზრდილი მოთხოვნა და ეკონომიკის ზრდის შენელება – ეს ის ძირითადი მიზეზებია, რასაც ანალიტიკოსი აკაკი ცომაია ეროვნული ვალუტის გაუფასურებას უკავშირებს.

როგორც ცომაია „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, ბოლო დროს მიმდინარე პროცესები, კონკრეტულად კი რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების შეჩერებაზე ვლადიმერ პუტინის ბრძანება, ლარის დევალვაციაზე გარკვეულ გავლენას ახდენს, თუმცა სინამდვილეში, ამას გაცილებით ფუნდამენტური მიზეზები აქვს.

შეგახსენებთ, რომ სებ-ის მიერ დღეისთვის დადგენილი კურსით, ლარმა გაუფასურების ისტორიული მაქსიმუმი დააფიქსირა. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, გუშინდელი ვაჭრობის შედეგად აშშ დოლარის ღირებულებამ 2.8333 ლარი შეადგინა. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.7945 ლარი იყო.

როგორც აკაკი ცომაია აცხადებს, ლარის ამგვარ გაუფასურებას ბევრი მიზეზი აქვს. თუმცა, მათ შორის, მთავარია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება და ასევე, ეროვნულ ვალუტაში სესხებზე გაზრდილი მოთხოვნა.

– შეიძლება ადამიანებს ჰგონიათ, რომ ლარის გაუფასურების მთავარი მიზეზი ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესები და ის მოლოდინებია, რომ ტურისტული ნაკადები შემცირდება და ლარი გაუფასურდება, მაგრამ ამ კუთხით გამოწვეული გაუფასურება შეზღუდულია. ახლა ქვეყანას არ აქვს იმხელა რესურსი, რომ დაიწყოს დოლარის დარეზერვება ისეთ დონეზე, რომ ასე სპონტანურად დაიწყოს ლარის გაუფასურება. სინამდვილეში არსებობს ფუნდამენტური მაკროეკონომიკური პრობლემები. კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მცირდება, ეროვნულ ვალუტაში სესხებზე მოთხოვნა იზრდება, ამასთან, ეკონომიკის ზრდის პროცესი ძალიან შენელდა, რაც ცალსახად მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხია, – აცხადებს აკაკი ცომაია.

**ბპნ**

# სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობა იზრდება

## რა ხდება საფინანსო ბაზარზე




საქართველოს საფინანსო ბაზარზე ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეგისტრაცია 14 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას გაუუქმდა, ამასთან, ერთი ერთეულით შემცირდა არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, კომერციულმა ბანკებმა კი დამატებით 9 სერვის ცენტრი გახსნეს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, წინა წლის მაისთან შედარებით, ბაზარზე მისო-ების რაოდენობა 73-დან 58-მდე შემცირდა. დღეს ქვეყანაში 58 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებს (2018 წლის მაისში – 73 ორგანიზაცია).

ამასთან, ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა კომერციული ბანკების სერვის-ცენტრების რაოდენობაც. თუ 2018 წლის მაისის მონაცემით, საქართველოში კომერციული ბანკების 791 სერვის-ცენტრი მოქმედებდა, წელს მაისში ეს რაოდენობა 800-მდე გაიზარდა. რაც შეეხება ფილიალების რაოდენობას, 2019 წლის მაისში 134 ერთეული ოპერირებს, ისევე, როგორც 1018 წლის ანალოგიურ პერიოდში.

ასევე ერთი წლის განმავლობაში 3-დან 2-მდე შემცირდა არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების რიცხვი.

საანგარიშო პერიოდში 204 ერთეულით შემცირდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობაც. თუ 2018 წლის მაისში ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი 1 104 პუნქტი ოპერირებდა, ახლა მათი რაოდენობა 900-ს შეადგენს.

სამაგიეროდ, სწრაფად იზრდება სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობა და დღეს უკვე 172 ერთეულს შეადგენს. იანვარში კი, როდესაც ასეთ სუბიექტებს რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისრათ, მხოლოდ 11 სუბიექტი ოპერირებდა, თებერვალში კი რეგისტრაცია უკვე 75 სესხის გამცემ სუბიექტს ჰქონდა გავლილი.

**ბპნ**

# „აიპლიუსის“ მაღაზიაში მძარცველმა კონსულტანტი მძევლად აიყვანა

დამნაშავე დაკავებულია

გუშინ, 26 ივნისს, თბილისში, პეკინის ქუჩაზე, „აიპლიუსის“ მაღაზიაში მძარცველი შეიჭრა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ „აიპლიუსის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა განაცხადა, პირს, რომელსაც დაყაჩაღება უნდოდა, ხელში დანა ეჭირა.

– დანა ეჭირა ხელში, ერთი პირი შემოვიდა და სიცოცხლის მოსპობით გვემუქრებოდა, – განაცხადა „აიპლიუსის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

მისივე თქმით, სამართალდამცველები ადგილზე დროულად მივიდნენ.

აღნიშნული პირი დაკავებულია.

როგორც „აიპლიუსის“ კომუნიკაციის მენეჯერმა გოგა თირქიამ განაცხადა, მძარცველმა მძევლად აიყვანა „აიპლიუსის“ ერთ-ერთი თანამშრომელი და თანხას და ტექნიკას ითხოვდა.

– რამდენიმე წუთის წინ მძარცველი შემოიჭრა ჩვენთან, ცივი იარაღი ჰქონდა, მძევლად აიყვანა ჩვენი ერთი კონსულტანტი, ითხოვდა თანხას და ტექნიკას. ადგილზე მოვიდნენ სამართალდამცველები, რომლებმაც დაიკავეს ეს პირი. მიმდინარეობს გამოძიება და შემოწმება ექსპერტების მიერ, – განაცხადა გოგა თირქიამ.

მისი თქმით, დაზიანებულია ტექნიკა: აიპადები, აიფონები და მაკები, თუმცა ზარალის ზუსტი ოდენობა ჯერ ცნობილი არ არის.

მძევლად აყვანილ გოგონას ფიზიკური დაზიანებები არ აქვს, თუმცა ფსიქოლოგიურ სტრესშია.



გოგა თირქია აცხადებს, რომ თანამშრომლებს მძარცველი მაღაზიაში ადრე არაერთხელ უნახავთ და ის მომხმარებელი ეგონათ.

ერთ-ერთი თვითმხილველი კი აცხადებს, რომ მძარცველი მაღაზიაში ტექნიკას ლეწავდა.

– ფულს და ტელეფონს ითხოვდა, ყველაფერს ლეწავდა, – აცხადებს თვითმხილველი.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა.

ბრალდებულმა გამყიდველს – თ. კ.-ს ძალადობის და დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობის მუქარით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფული და ტელეფონი მოსთხოვა. ასევე, მან დააზიანა მაღაზიის ინვენტარი და გასაყიდი საქონელი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, „112“-დან შემოსული შეტყობინების საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ნ. რ. მძევლად ხელში ჩაგდების და სხვისი ნივთის განზრახ დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნ.რ. მიმდინარე წლის 26 ივნისს, თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე ტექნიკის მაღაზია „აიპლუს“-ში შეიჭრა, რის შემდეგაც, გამყიდველს – თ. კ.-ს ძალადობის და დანის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობის მუქარით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფული და ტელეფონი მოსთხოვა.

ბრალდებულმა დააზიანა მაღაზიის ინვენტარი და გასაყიდი საქონელი. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნ.რ. შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. გამოძიება მძევლად ხელში ჩაგდების და სხვისი ნივთის განზრახ დაზიანების ფაქტებზე მიმდინარეობს სსკ-ს 144-ე და 187-ე მუხლებით.

***

მოგვიანებით „აიპლიუსმა“ მომხდარ ძარცვის მცდელობაზე საგანგებო განცხადება გაავრცელა.

„სოციალურ ქსელში მასობრივად ვრცელდება ინფორმაცია, რომ დღეს, „აიპლიუსის“ მაღაზიის ძარცვის მცდელობის ფაქტი, გარკვეულმა პოლიტიკურმა მხარემ, პოლიტიკური ინტერესებისთვის „დადგა“.

„აიპლიუსი“ კატეგორიულად ემიჯნება ნებისმიერ პოლიტიკურ ინტერესებს და ამ ინტერესებისთვის მსგავსი ძარცვის მცდელობის შესაძლო „დადგმას“.

სამეთვალყურეო ჩანაწერების ნახვისას გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ძარცვის ფაქტში „მძარცველის“ ქცევა არაბუნებრივია, თუმცა გაურკვეველია, რატომ შეიძლება, შესაძლო ინსცენირების ადგილად „აიპლიუსი“ შერჩეულიყო.

ამასთან, იმედს გამოვთქვამთ, რომ „აიპლიუსი“ არ იქნება „გახვეული“ შესაძლო ხელოვნურ პროვოკაციებში.

მოვუწოდებთ შს სამინისტროს, ფაქტის გამოძიებისას, განიხილოს ძარცვის ფაქტის პოლიტიკური ინტერესების მქონე მხარეების მიერ შესაძლო ინსცენირების ვერსიაც.

საზოგადოებას ვთხოვთ, გამოიჩინონ სიფრთხილე მომხდარი ფაქტის შეფასებისას. ჩვენ მომხდარით შოკირებულები ვართ და მოვუწოდებთ ყველა მხარეს, ნუ ახდენთ „აიპლიუსის“ რომელიმე პოლიტიკურ მხარესთან გაიგივებას“, – ნათქვამია „აიპლიუსის“ განცხადებაში.

## სვანეთში 12 წლის გოგონას მამა, დავით გაბლიანი, შემოაკვდა



„სვანეთინიუსის“ ინფორმაციით, მესტიის მუნიციპალიტეტის იდლიანის თემში შემთხვევით 12 წლის გოგონამ მამა სასიკვდილოდ დაჭრა.

როგორც მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი, ხაიშის თემში ოთარ ჭკადუა აცხადებს, ბავშვი ცეცხლსასროლი იარაღით, კერძოდ, თოფით თამაშობდა, როდესაც მამის მიმართულებით შემთხვევითი გასროლა მოახდინა.

გარდაცვლილი 51 წლის დავით გაბლიანია. დავით გაბლიანი იდლიანის საშუალო სკოლაში ისტორიის პედაგოგი იყო.

*ნიუპოსტი*

## ბექა ბასილაია და აქციაზე დაკავებული ყველა პირი გაათავისუფლეს



რუსთაველის გამზირზე 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენებისას ადმინისტრაციული წესით დაკავებული ადვოკატი ბექა ბასილაია გაათავისუფლეს.

– მას შემდეგ, რაც ჩემი საჩივარი გავიწვიე, პროკურატურამ საჯაროდ განაცხადა, რომ სასამართლოს მიმართავდა ყველას გათავისუფლების მოთხოვნით. ამით პროკურატურას შერცხვენილი სახის ჩამორეცხვა უნდოდა, მაგრამ ეს უსუსური მცდელობაა გავრილოვის ღამის გადაფარვის, – განაცხადა ბასილაიამ.

## სადგურის მოედანზე ავტობუსს ჯერ ცეცხლი წაეკიდა, შემდეგ კი აფეთქდა




სადგურის მოედანზე ე.წ. ყვითელი ავტობუსი დაიწვა. როგორც თვითმხილველმა „კურიერს“ განუცხადა, ავტობუსს ჯერ ცეცხლი წაეკიდა, შემდეგ კი აფეთქდა.

კიდევ ერთი თვითმხილველი კი ამბობს, რომ ცეცხლი სატრანსპორტო საშუალების ძრავს გაუჩნდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ავტობუსში მგზავრები არ იმყოფებოდნენ.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას, ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით გულისხმობს.

## ხულოში 40 წლის კაცი მოკლეს




25 ივნისს, ხულოს მუნიციპალიტეტში, ხიხაძირის ხეობაში მკვლელობა მოხდა. მოკლულია 40-წლამდე კაცი.

ადგილობრივების ინფორმაციით, ბრალდებულმა შუადღისას სოფელ ხიხაძირის ცენტრში, სავაჭრო ობიექტის წინ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა კაცი და მიიმალა.

მოგვიანებით 1 პირი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1958 წელს დაბადებული რ.ბ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 25 ივნისს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში, ურთიერთშელაპარაკებისას, ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1976 წელს დაბადებულ რ.გ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

– სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებულის ადგილსამყოფელი ცხელ კვალზე დაადგინეს. ის ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში იმალებოდა. ადგილზე მისულ პოლიციელებს რ.ბ.-მ ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც 2 სამართალდამცველი მსუბუქად დაიჭრა. მათ სამედიცინო დახმარება გაეწიათ და უკვე დატოვეს საავადმყოფო. სამართალდამცველებმა ბრალდებული გამთენიისას, თანასოფლელის საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი – პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღო, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი გამოვლინდა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ხე-ტყის უკანონო ჭრისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლარიხევში საცხოვრებელ ეზოში უკანონოდ მოპოვებული 7 ერთეული წიფლისა და 5 ერთეული წაბლის სახეობის მორი იყო განთავსებული.

დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშების შემდეგ, საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებაში გადაიგზავნება.

## თელავში 27 წლის ქალი ტყვიით დაჭრეს




თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში 27 წლის ქალი დაჭრეს.

შემთხვევა 25 ივნისს მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, ქალს ტყვია შემთხვევით მოხდა და მისი მისამართით არ უსვრიათ.

დაჭრილს დაზიანებები გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული და ის თელავის რეფერალურ საავადმყოფოშია მოთავსებული. ექიმის თქმით, დაჭრილი ქალის მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია და უტარდება ყველა შესაბამისი გამოკვლევა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 19-108-ე მუხლით დაიწყო, რაც მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

## ტრაპიზონში 2 ქართველი დაიღუპა




ტრაპიზონში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად საქართველოს ორი მოქალაქე დაიღუპა, ერთი კი მძიმედ დაშავდა. დაშავებული რიზეს კლინიკაშია მოთავსებული.

როგორც აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ზაალ მიქელაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ერთ-ერთი გარდაცვლილი დასვენებულია რიზეს ერდოღანის სახელობის კლინიკის პროზექტურაში, ხოლო მეორე – დაბა ფაზარის პროზექტურაში.

მინისტრის თქმით, ავარიის დროს დაშავებული ქალის დასახმარებლად საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლობა აქტიურად არის ჩართული.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაღუპულები, ხულოს მკვიდრები არიან. ისინი მეზობელ ქვეყანაში, სავარაუდოდ, სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფებოდნენ და 26 ივნისს, გვიან ღამით სახლში ბრუნდებოდნენ. დაღუპულები და დაშავებული ერთი ოჯახის წევრები არიან

ავარია ღამის 3 საათზე ავტობანის ფაზარის მონაკვეთზე მოხდა.

## ოთარ კახიძე: „ჩვენ მზად ვართ მოვლენების ნებისმიერი განვითარებისთვის“



ჩვენ მზად ვართ მოვლენების ნებისმიერი განვითარებისთვის, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ოთარ კახიძემ კითხვაზე, ხომ არ ელოდება ოპოზიცია 20-21 ივნისის მოვლენებზე სხვა პირების დაკავებას, საპასუხოდ განაცხადა. მისი თქმით, ხელისუფლებისგან გასაკვირი არაფერია.

– ოპოზიციამ ივანიშვილს და მის მონებს უნდა ჩამოვართვათ ხელისუფლების სადავეები. ამათგან მოულოდნელი არაფერია. მზად ვართ მოვლენების ნებისმიერი განვითარებისთვის, – განაცხადა კახიძემ.

# ევკუროვი გადადგა და პატიებას ითხოვს



მასობრივი პროტესტების შედეგად ინგუშეთის მეთაური ევკუროვი გადადგა.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა რუსეთის რეგიონალური ხელისუფლების მეთაური სახალხო პროტესტების შედეგად თანამდებობას გამოეთხოვა.

— მე ყველას პატიებას ვთხოვ, — განაცხადა გადადგომის შემდეგ ევკუროვმა.

ჩეჩნეთის მეთაურმა რამზან კადიროვმა ევკუროვის გადადგომას შემაშფოთებელი სიგნალი უწოდა. კადიროვის აზრით, რუსეთს დესტრუქციული ტალღა ემუქრება.

— უკრაინული მაიდანი და არეულობა საქართველოში უკვე ჩრდილოეთ კავკასიაზეც ახდენს გავლენას, — თქვა კადიროვმა.

პუტინის ნამესტნიკი ჩეჩნეთში მიიჩნევს, რომ პასიურობა შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს.

— საქართველო აფეთქების ზღვარზეა. თუ აფეთქდა, დამანგრეველი ტალღა ჩრდილოეთ კავკასიასაც წალეკავს. სანამ დროა, რუსეთის არმიამ საქართველოში წესრიგი უნდა აღადგინოს. იქაურ ხელისუფლებას ეს უკვე აღარ შეუძლია, — აცხადებს კადიროვი.

# მაიკ პომპეო ქაბულში ჩავიდა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ინდოეთში გაემგზავრა. გზად მისი თვითმფრინავი ქაბულში დაეშვა. პომპეო ავღანეთის პრეზიდენტ განის შეხვდა.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-ავღანეთის ურთიერთობები გახდა.

განხილულ იქნა სამშვიდობო მოლაპარაკებები თალიბანთან, აგრეთვე სექტემბერში დანიშნული არჩევნები.

პომპეოს განსაკუთრებით აინტერესებდა, თუ როგორი იქნება ავღანეთ-აშშ-ის მომავალი ურთიერთობები, როგორ მიმდინარეობს სამშვიდობო მოლაპარაკებები თალიბანთან და არჩევნებისთვის სამზადისი.

— არჩევნებზე უსაფრთხოების დაცვა უწინარესი ამოცანაა, — ამბობს პომპეო.

ამასობაში ავღანეთის დასავლეთში მდებარე პროვინცია ჰერათში რადიკალურმა მოძრაობა თალიბანმა თავდასხმა განახორციელა, რომლის დროსაც უსაფრთხოების სამსახურის 8 თანამშრომელი დაიღუპა და 16 დაიჭრა.

დაჭრილთა შორის არის რაიონული პოლიციის უფროსიც.

# იტალიაში მაფიოზური საქმიანობისთვის 120 კაცზე მეტი დააპატიმრეს



გუშინ, 26 ივნისს, გამთენიისას, იტალიის რამდენიმე რეგიონში ჩატარებული კარაბინერების მსხვილმასშტაბიანი სპეცოპერაციის დროს, 120-ზე მეტი ადამიანი დააკავეს.

მათ ბრალად იტალიის სამხრეთ პროვინცია კამპანიაში ბაზირებული გავლენიანი დანაშაულებრივი ორგანიზაცია „კამორას“ საქმიანობაში მონაწილეობა ედებათ.

საქმის გამოძიებას ერთობლივად აწარმოებდნენ მაფიასთან ბრძოლის სამმართველოს, სახელმწიფო პოლიციისა და ფინანსური გვარდიის წარმომადგენლები.

დარტყმა მიაყენეს „კამორას“ გავლენიანი კლანების — კონტინის, მალარდოს და ლიჩარდის დანაშაულებრივ ორგანიზაციებს.

კონფისკაციას დაექვემდებარა დაახლოებით 130 მილიონი ევროს ქონება. დაკავებულებს ბრალად ედებათ მაფიოზური საქმიანობა, ნარკოტიკების კონტრაბანდა, გამოძალვა, ფულის გათეთრება და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში ჩარევა.

# ნატო რუსეთს დაემუქრა



ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსეთი საშუალო და მცირე სიშორის რაკეტებთან დაკავშირებულ შეთანხმებას არღვევს.

— ნატო რუსეთს საკადრის პასუხს გასცემს, — ამბობს სტოლტენბერგი.

ნატოს გენერალურმა მდივანმა რუსეთს მოუწოდა, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და გაანადგუროს რაკეტები, რაც ამ შეთანხმებითაა გათვალისწინებული.

— წინააღმდეგ შემთხვევაში ეს რუსეთისთვის ცუდად დამთავრდება, — ამბობს სტოლტენბერგი.

# ჯონსონი ბრექსიტის ბოლომდე მიყვანას აპირებს



ბრიტანეთის პრემიერობის კანდიდატი ბორის ჯონსონი მიიჩნევს, რომ ბრექსიტთან მიმართებაში ყოყმანი აღარ შეიძლება. საქმე ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი, თან რაც შეიძლება სწრაფად.

— თუ პრემიერი გავხდი, უკვე ოქტომბრის ბოლოს ბრიტანეთი ევროკავშირიდან გავა, — ამბობს ჯონსონი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# დანიას მემარცხენე მთავრობა და ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი ჰყავს



დანიას მემარცხენე მთავრობა და ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი ჰყავს. დანია წელს უკვე მესამე სკანდინავიური სახელმწიფოა, რომლის ხელისუფლებაშიც მემარცხენეები მოვიდნენ.

ამ გადაწყვეტილებას სამკვირიანი მოლაპარაკებები უძღოდა წინ და შედეგად, უმცირესობის მთავრობამ მოიპოვა დეპუტატების საკმარისი რაოდენობის მხარდაჭერა.

41 წლის მეტე ფრედერიკსენი პირობას დებს, რომ გაზრდის სოციალურ ხარჯებს მრავალწლიანი მკაცრი ეკონომიის შემდეგ.

# სარა სანდერსს სტეფანი გრუშემი შეცვლის



თეთრ სახლს ახალი პრესმდივანი ჰყავს. სარა სანდერსს სტეფანი გრუშემი შეცვლის.

ის წლების მანძილზე დონალდ და მელანია ტრამპებთან მუშაობდა.

— ამ თანამდებობისთვის სტეფანი ყველაზე შესაფერისია! — აცხადებს მელანია ტრამპი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# უმედლო დღე და შენარჩუნებული მესამე ადგილი




მინსკის მე-2 ევროპული თამაშების მე-5 დღეს საქართველოს ნაკრებისთვის მედლიანი არ აღმოჩნდა. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ჩვენებს მეტწილად საკვალიფიკაციო ასპარეზობებში გამოსვლამ მოუწიათ. მიუხედავად ამისა, ჩვენი დელეგაცია საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-3 ადგილს ინარჩუნებს.

ქართველი სპორტსმენებისთვის სამედლო შეჯიბრება მხოლოდ ველოსპორტსა და ბატუტზე ხტომაში შედგა. აქ მედლებს არც ველოდით და ასეც მოხდა.

თენგიზ ბარბაქაძე საგზატკეცილო ველორბოლაში 37-ე ადგილზე გავიდა.

ბატუტზე ხტომაში ერთი დღით ადრე მოპოვებული ვერცხლის მედლის შემდეგ, ლუბა გოლოვინამ თეონა ჯანჯღავასთან ერთად სინქრონულ ხტომებში ფინალში იასპარეზა. ჩვენი დუეტი ფინალში კი გავიდა, მაგრამ იქ 37.40 ქულით ბოლო, მე-8 ადგილი დაიკავა.

ბატუტზე მხტომელ ვაჟთა ფინალში ვერ მოხვდა თენგიზ კოშკაძე, რომელმაც პირველ საკვალიფიკაციო ხტომაში მაღალი შეფასება დაიმსახურა, მაგრამ მეორე ცდა არ გამოუვიდა.

მორიგი ბრძოლები გამართეს მოკრივეებმა: მეთხედფინალში ბრიტანელი აჰმედ აქილის 3:2 ძლევით ნახევარფინალის საგზური მოიპოვა სახილ ალახვერდოვმა (49 კგ) და მინიმუმ ბრინჯაოს მედალი გაინაღდა.

ფრანგი ჯორდან როდრიგესის 5:0 დამარცხებით მეთხედფინალში გავიდა ოთარ ერანოსიანი (60 კგ) და მედლისთვის ბრძოლას აგრძელებს.

თურქ ტუგრულან ერდემირთან მერვედფინალური შეხვედრა 1:4 წააგო ლაშა გურულმა (64 კგ).

ბელარუს ვლადისლაუ სმიაჰლიკაუსთან მეოთხედფინალურ ორთაბრძოლაში 2:3 დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა ნიკოლოზ ბეგაძე (91 კგ).

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე 30-ე შედეგი ჰქონდა ნინო სალუქვაძეს.

საქმეში ჩაერთნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც. უმსუბუქეს წონაში სერბ სტევან მიჩიჩთან 4:2 წაგებული პირველი შეხვედრის შემდეგ, ლაშა ლომთაძემ (57 კგ) ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის შანსი შეინარჩუნა, რადგან მისი მძლეველი სერბი მოჭიდავე ფინალში გავიდა.

პირველი შეხვედრა გამოტოვა და მეოთხედფინალიდან ჩაება ბრძოლაში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი ავთანდილ კენჭაძე (74 კგ), მაგრამ რუს მსოფლიოს ჩემპიონთან, ზაურბეკ სიდაკოვთან 3:5 დამარცხდა. თავად სადიკოვმა ურთულეს ბრძოლაში მოახერხა ფინალში გასვლა და ჩვენებურს ბრინჯაოსკენ გზა გაუხსნა.

სანდრო ამინაშვილმა (86 კგ) მერვედფინალში შვეიცარიელი შტეფან რეიხმუტი 3:2 დაამარცხა, მაგრამ მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ ალექსანდერ გოსტიევთან 2:6 დამარცხდა. თავის მხრივ ნახევარფინალში აზერბაიჯანელმაც წააგო და ჩვენებური ასპარეზობას გამოეთიშა.

გარანტირებულ მედალს ველით თავისუფალთა მძიმე წონაში, სადაც გივი მაჭარაშვილმა ფინალში რუსეთის წარმომადგენელ ანზორ ხიზრიევთან ორთაბრძოლა დაიბევა.

მაჭარაშვილმა ფინალისკენ მიმავალ გზაზე ფინელი, რუმინელი და აზერბაიჯანელი ფალავნები დაამარცხა.

# ალექსეი საფონოვი: „ქართველ ფეხბურთელებს ტრანსფერებზე პრობლემები არ ექნებათ“

საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად უჭერენ მხარს სპორტსმენები. ეროვნულ პირველობაზე რამდენიმე გუნდი მოედანზე გამოვიდა მაისურებით, სადაც ეწერა, რომ რუსეთი ოკუპანტია. ამ ფაქტს რუსეთში ხმაურით შეხვდნენ და ქართული კლუბების ევროტურნირებიდან მოკვეთაც მოითხოვეს. ცხადია, უეფამ ამ ფაქტზე რეაგირება მოახდინა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც რუსეთს სურდა. უეფას განცხადებით, ეს ქმედება შიდატურნირზე მოხდა და თუ სურვილი ექნება, გუნდსა და ფეხბურთელებს სფფ დასჯის.



შეექმნება თუ არა რუსეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს პრობლემები, ამ ამბების შემდეგ, ამის შესახებ ცნობილი რუსი საფეხბურთო აგენტი ალექსეი საფონოვი საუბრობს.

***— როგორ იმოქმედებს საქართველოსთან კონფლიქტი ტრანსფერებზე?***

— საერთოდ არ იმოქმედებს. ზოგადად, რუსეთის ჩემპიონატში ბევრი ქართველი ფეხბურთელი არ გვყავს. კარგად მახსოვს, საბა კვირკველია და ლევან სალუქვაძე ერთად რუბინში გამოდიოდნენ და ერთ-ერთს გუნდი უნდა დაეტოვებინა, რადგან პრობლემა წარმოიშვა. ასე იყო უკრაინელ ფეხბურთელებზე, მაგრამ ახლა პირიქით, რაკიცკი, ორდეცი და სხვები ჩამოდიან. პოლიტიკა პოლიტიკაა, ფეხბურთი კი ფეხბურთი. იმედია, ეს არეულობა მალე დასრულდება. საქართველოს კარგად ვიცნობ. თბილისის დინამოს ფეხბურთელები ჩემი მეგობრები არიან.

***— დაიწერა, რომ ჯაბა კანკავა, შესაძლოა, მოსკოვის სპარტაკში გადავიდეს, სიმართლეა?***

— სიმართლე არ არის. ცოტა ხნის წინ, სპარტაკმა პსჟ-დან ახალგაზრდა ქართველი ნიკოლოზ ქუთათელაძე დაიმატა. ზოგადად ვიტყვი, რომ ეს სიტუაცია ფეხბურთთან არაფერ შუაშია. პოლიტიკური მიზეზის გამო, მხითარიანი ევროპა ლიგის ფინალზე ბაქოში ვერ ჩავიდა, მაგრამ ჩვენთან ასე არ იქნება.

***— ლოკომოტივის რიგებში კვირკველია და ხვიჩა კვარაცხელია ასპარეზობენ. იმოქმედებს ეს სიტუაცია მათზე?***

— არა. რუსეთის ჩემპიონატში წლებია ქართველი ფეხბურთელები თამაშობენ და პოლიტიკური კუთხით პრობლემა არ ჰქონიათ. საქართველოში ბევრჯერ ვყოფილვარ და არასდროს მომისმენია რუსეთზე ცუდი. არ ვიცი, რატომ აგორდა ახლა ანტირუსული პროპაგანდა. ქართველები სტუმართმოყვარე ხალხია.

***— რა რეაქცია გქონდათ, როდესაც ნახეთ, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა ანტირუსული მაისურები ჩაიცვეს?***

— შეიძლება ჩაიცვა შენი ტრავმირებული თანაგუნდელის მხარდასაჭერი მაისური ან ბავშვის, რომელიც გაჭირვებაშია, მაგრამ არა პოლიტიკური! წარმოიდგინეთ, როგორ ეუბნება კლუბის პრეზიდენტი ფეხბურთელებს, ჩაიცვან პოლიტიკური მაისურები. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ საქართველოს დიდ პატივს ვცემ და იქ ბევრი მეგობარი მყავს.

***— არის იმის შანსი, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ჯანო ანანიძე ევროპაში წავიდეს?***

— თუ ჯანო ანანიძე სათამაშოდ ევროპაში წავა, ამის მიზეზი ის არ იქნება, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ბოლო პერიოდში, მას ცოტა სათამაშო დრო აქვს და არ გამოვრიცხოთ, რომ წავიდეს. აგვისტოს ბოლოს, თბილისში ერთმანეთს საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებები უპირისპირდებიან. იმედია, იქამდე ყველაფერი მოგვარდება. ბევრი რუსი ტურისტი ვიცი, რომლებიც ბათუმს სტუმრობენ. საქართველო ტურისტულად კარგი ქვეყანაა. მათ აქვთ კარგი ღვინო, ზღვა, მზე და სასტუმროები.

# ლიდერებმა ქულები დაკარგეს, ტორპედო ისევ დაშლის პირას არის

<u>ლოკომოტივი-საბურთალო 1:0</u>

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 სიხარულიძე (56)

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, კომახიძე, უბილავა, სამურკასოვი, შონია, ძებნიაური, გოროზია (გვალია 68) , ჯიქია (იაკობიძე 90), სიხარულიძე (შეყილაძე 90)

**საბურთალო:** მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი (ჩაბრაძე 63), რეხვიაშვილი, კაკუბავა (ტერა 61), გონსალვესი, შინდაგორიძე (გაბედავა 60), დიასამიძე, ალთუნაშვილი, კოხრეიძე




საინტერესოდ ვითარდება მოვლენები ეროვნული ლიგაში. მე-3 წრის პირველ შეხვედრაში საბურთალო ლოკომოტივს ესტუმრა და მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. შეხვედრაში ერთადერთი გოლი 56-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ გაიტანა.

მატჩის პირველი ნახევარი თითქმის თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ლოკომოტივმა მე-2 ტაიმის საწყის წუთებშივე მოუმატა თამაშს და გოროზია-სამურკასოვი-სიხარულიძის კომბინაცია ლოკოს საუკეთესო ბომბარდირის გოლით დასრულდა.

თამაშის სცენარიდან გამომდინარე დაფიქსირებული შედეგი ლოგიკური იყო. ამ გამარჯვებით ლოკომოტივს ეროვნულ ლიგაში 8 წაუგებელი მატჩი დაუგროვდა. საბურთალომ კი ქულები ზედიზედ მეორე შეხვედრაში დაკარგა, რაც გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდს ლიდერის პოზიციის დაკარგვად დაუჯდა.

<u>დინამო (ბთ)-ტორპედო 2:2</u>

**ბათუმი. ანგისა**

0:1 ქავთარაძე (9), 1:1 ფლამარიონი (21პ), 2:1 რამოსი (30), 2:2 გეგეჭკორი (65)

**დინამო:** ალავიძე, ადამაძე, მელიავა, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ტეიდი, მანჯგალაძე (თევდორაძე 69), მამუჩაშვილი, რამოსი, საბანაძე, ფლამარიონი (დვალიშვილი 74)

**ტორპედო:** ქვილითაია, ტაბატაძე, ნებიერიძე (ბოჭორიშვილი 90), ჭიჭინაძე, ხურცილავა, გეგეჭკორი, გიგაური, ნ.ქავთარაძე, წიქარიძე (შარვაშიძე 64), ქიმაძე, თ.კაპანაძე (მუკბანიანი 85)

ბათუმის დინამომ ისევ ვერ მოახერხა ქუთაისის ტორპედოს დამარცხება. არადა, ტორპედო ზღვისპირეთში თითქმის განახევრებული შემადგენლობით იყო ჩასული.

გია გეგუჩაძის გუნდმა მთავარი კონკურენტის, საბურთალოს წაგების შესახებ უკვე იცოდა და 3 ქულის მოსაპოვებლად გაორმაგებული მოტივაცია ჰქონდა, თუმცა დინამომ პროგრამა მაქსიმუმის შესრულება ვერ შეძლო.

ანგისას ბაზაზე გამართულ დაპირისპირებაში მე-9 წუთზე ქუთაისელები ნოდარ ქავთარაძემ დააწინაურა. გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლები ძალიან გააქტიურდნენ, რასაც 21-ე წუთზე სტუმართა კარში დანიშნული პენალტი მოყვა, რომელიც ზუსტად შეასრულა ჯოვინო ფლამარიონმა. 30-ე წუთზე გაბრიელ რამოსმა ბათუმელები წინ გაიყვანა და შესვენებაზე გეგუჩაძის შეგირდები სასურველი შედეგით გავიდნენ.

ხარისხობრივად რადიკალურად განსხვავებული გამოდგა შეხვედრის მეორე ნახევარი. ნაკლებად იქმნებოდა რეალური საგოლე მომენტები. 65-ე წუთზე უკვე სტუმრებმა გამოიყენეს შანსი და ლევან გეგეჭკორმა თამაშში წონასწორობა აღადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის მიწურულს მასპინძლებს შეექმნათ რეალური საგოლე მომენტები, გოლის გატანა მაინც ვერ მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ ტორპედოს წინააღმდეგ ბათუმელთა ახალწვეულის, ვლადიმერ დვალიშვილის დებიუტი შედგა. სწორედ მას ჰქონდა ბოლო წუთებზე კარგი შანსი, მაგრამ ფორვარდმა დებიუტი გოლით ვერ აღნიშნა.

ტორპედოში კი არსებული ფინანსური მდგომარეობის გამო ცუდი მდგომარეობაა. მამუკა კობახიძის, ოლექსანდრ აზაცკის და მერაბ გიგაურის შემდეგ ტორპედო რიჩარდ ლუკამ და ნიკოლა სტიეპოვიჩმა დატოვეს. ქუთაისურ კლუბში ბოლო შეხვედრები ჩაატარეს ლევან გეგეჭკორმა და ნოდარ ქავთარაძემ, რომლებმაც ბათუმში გოლების გატანაც მოახერხეს. გეგეჭკორი სწორედ გია გეგუჩაძის გუნდში გააგრძელებს კარიერას.

თუ კლუბს სასწრაფოდ ინვესტორი არ გამოუჩნდა, ქუთაისს მათე ცინცაძე და ბუდუ ზივზივაძეც დატოვებენ. ეს ფეხბურთელები ბათუმის დინამოს წინააღმდეგ განაცხადშიც არ ყოფილან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 20 | 12 | 3 | 5 | 33-20 | 39 |
| 2.საბურთალო | 20 | 12 | 3 | 5 | 36-24 | 39 |
| 3.დინამო (თბ) | 19 | 11 | 2 | 6 | 35-22 | 35 |
| 4.ტორპედო | 20 | 10 | 4 | 6 | 42-31 | 34 |
| 5.ლოკომოტივი | 20 | 9 | 2 | 9 | 25-23 | 29 |
| 6.ჩიხურა | 19 | 5 | 8 | 6 | 24-21 | 23 |
| 8.დილა | 19 | 6 | 4 | 9 | 21-22 | 22 |
| 8.სიონი | 19 | 6 | 4 | 9 | 23-47 | 22 |
| 9.რუსთავი | 19 | 3 | 6 | 10 | 21-34 | 15 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 19 | 4 | 2 | 13 | 11-26 | 14 |

# ილიას ზუროსი ბერძნულ კლუბს გაწვრთნის




საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ბერძენი სპეციალისტი, ილიას ზუროსი პერისტერიში იმუშავებს. ზუროსი ბერძნულ კლუბში მუშაობას საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან შეთანხმების შემდეგ დათანხმდა. ილიას ზუროსი ათენურ კლუბში საქართველოს ნაკრების პარალელურად იმუშავებს.

პერისტერისთვის გასული სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო არსებობის ისტორიაში. კლუბმა ნახევარფინალური სერია პანათინაიკოსთან წააგო, ხოლო მე-3 ადგილისთვის მატჩი აეკ-ს მოუგო და საბერძნეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

ამ წარმატებამ პერისტერელებს ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუტანა და კლუბი 15-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ევროსარბიელს. კლუბის ხელმძღვანელობას ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად საასპარეზოდ ძლიერი სპეციალისტის მოძებნა უნდოდა და მოლაპარაკება დაიწყო ილიას ზუროსთან, რომელიც წარმატებით დააგვირგვინა.

მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგა ფიბა-ს ორგანიზებულია და მის კალენდარშია ჩასმული. ასე რომ, ილიას ზუროსს საქართველოს ნაკრებში მუშაობაში ხელი არ შეეშლება. თავის მხრივ, ილიას ზუროსი საბერძნეთს კლუბურ დონეზე 9-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. ბოლოს ის ბერძნულ კლუბს 2010 წელს წვრთნიდა, როცა პანელინიოსს უძღვებოდა. ილიას ზუროსს ძალიან ბევრ კლუბში უმუშავია, რომელთაგან გამოსარჩევია პირეოსის ოლიმპიაკოსი, სტამბოლის ეფესი და კაუნასის ჟალგირისი.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ნეიმარმა ბარსელონას ბოდიში მოუხადა



ფრანგი ნახევარმცველის ირგვლივ რამდენიმე გრანდი აქტიურად ტრიალებს. ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც პოგბამ თამამად ღიად განაცხადა, რომ ახალი გამოწვევების მიღება ახალ კლუბში სურს.

რეალისა და ტურინის იუვენტუსის გარდა, 26 წლის ნახევარმცველი პარიზულ კლუბსაც მოუნდა. ბრიტანული მედიის ცნობით, პარიზელებმა ინგლისურ გრანდს საინტერესო წინადადებით მიმართეს და პოგბას სანაცვლოდ ნეიმარი შესთავაზეს.

„წითელმა ეშმაკებმა" კი ეს წინადადება ერთი მიზეზის გამო დაბლოკეს – ნეიმარი საფრანგეთში ხელფასის სახით კვირაში 900.000 გირვანქა სტერლინგს იღებს, ვუდვორდი ბრაზილიელისთვის ამხელა ხელფასის გადახდას არ გეგმავს.

ესპანური მედია ასევე იუწყება, რომ რეალი ამსტერდამის აიაქსთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს...

ახალგაზრდა ვან დე ბეეკი მადრიდელთა გეგმებში შედის, მაგრამ პოლ პოგბას ალტერნატივაა. თუ მომდევნო 2 კვირის განმავლობაში პერესი პოგბას ვერ დაიმატებს, ჰოლანდიელზე გადაერთვება, ვინაიდან ვან დე ბეეკთან დაკავშირებით ინტერესს 4 ტოპ-კლუბი გამოხატავს.

აიაქსი რეალის წინადადებას აქტიურად განიხილავს. ამ შემთხვევაში ყველაფერი ფლორენტინო პერესზე იქნება დამოკიდებული.

კლარენს ზეედორფმა რეალს ვან დე ბეეკის შეძენა ურჩია:

– ვფიქრობ, რომ ვან დე ბეეკი სამეფო კლუბისთვის იდეალური ვარიანტი იქნება. პოგბას ან ერიკსენის შეძენა ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, აქედან გამომდინარე, სჯობს გუნდმა ვან დე ბეეკი დაიმატოს. გავა წლები და აიაქსის ამჟამინდელი ლიდერი „ბლანკოსის" ლიდერიც გახდება.

ესპანურ გამოცემებზე დაყრდნობით, ბარსელონა და ნეიმარი ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ამ ყველაფრის პარალელურად ბრაზილიელ ფეხბურთელს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა აქვს პსჟ-ს ხელმძღვანელობასთან და ის პრესეზონს პარიზულ კლუბთან ერთად არ გაივლის.

მეტიც, ნეიმარმა ბოდიში მოუხადა ბარსელონასა და მის გულშემატკივარს. ასე რომ, ამ ტრანსფერს წინ, სავარაუდოდ, არაფერი უდგას.

თუ ნეიმარი და ბარსელონა ვერ შეთანხმდებიან, ბრაზილიელი ვარსკვლავი პარიზს მაინც დატოვებს, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება მიღებულია. ამ შემთხვევაში ერთადერთ ვარიანტად დარჩება მადრიდის რეალი, რომელიც ასევე გამოხატავს ინტერესს ბრაზილიელი შემტევის მიმართ.

და რატომ ვერ უნდა შეთანხმდნენ ნეიმარი და ბარსელონა? ამაში მათ ხელს ვინიციუს ჟუნიორი თუ შეუშლის, რომელიც რიოში იმყოფება და მადრიდის რეალის ფეხბურთელი არდადეგებს ნეიმართან ერთად ატარებს.

ესპანური მედია მათ ერთობლივ ფოტოსაც აქვეყნებს და წერს, რომ ახალგაზრდა მადრიდელი ფეხბურთელი პსჟ-ს ლიდერს რეალში გადასვლაზე ხშირად ესაუბრება.

ნეიმარი რომ პსჟ-ში არ გაჩერდება, ამას თავად კლუბის საქციელიც ადასტურებს. მანჩესტერ იუნაიტედის

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# მეთევზემ ასი წლის თევზი მუტანტი დაიჭირა



ამერიკის მინესოტას შტატში აღმოაჩინეს თევზი, რომელიც, სავარაუდოდ, ასი წლისაა.

33 წლის ჯეისონ ფუგეიტი ერთ-ერთ ადგილობრივ ტბაში თევზაობდა, როდესაც ანკესით უზარმაზარი თევზი დაიჭირა. ის მიხვდა, რომ ის დიდპირა ბუფალოს სახეობას განეკუთვნებოდა, თუმცა მამაკაცი მისმა უჩვეულო ნარინჯისფერმა შეფერილობამ ჩააგდო საგონებელში. ფუგეიტმა მის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციის მოძიება ვერ შეძლო და დახმარებისთვის ბიოლოგს მიმართა.

დოქტორმა ლაკმანმა ცხოველი შეისწავლა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აღნიშნული თევზი დაახლოებით 100 წლისაა. ასევე მან აღნიშნა, მას ასეთი შეფერილობა შესაძლოა ასაკიდან გამომდინარე ან გენეტიკური მუტაციის შედეგად მიეღო. გარეგნულად ის ძალიან წააგავს ოქროს თევზს, თუმცა გაცილებით დიდი ზომისაა. მისი სიგრძე დაახლოებით 100 სანტიმეტრს, ხოლო წონა 14 კილოგრამს შეადგენს.

– მსგავსი რამ არასოდეს მინახია. თევზის შეფერილობამ მართლაც გამაოგნა, მიუხედავად იმისა, რომ ათასობით დიდპირა ბუფალოს შევხვედრივარ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, – განაცხადა ბიოლოგმა.

# დათვი სახლში შეიპარა და კარადაში დაიძინა



ამერიკის მონტანის შტატში დათვმა სახლში შეაღწია და დაიძინა. ამ ინფორმაციას მიზულის ოლქის შერიფის ოფისი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

ინციდენტი შაბათს, 22 ივნისს მოხდა. პოლიციელების თქმით, მათ აღმოაჩინეს, რომ დათვმა, რომელმაც სახლში შეაღწია, კარი შიგნიდან გადაკეტა. როდესაც მათ კარი შეამტვრიეს, დაინახეს ცხოველი, რომელიც კარადაში იჯდა და იზმორებოდა. სავარაუდოდ, მტაცებელმა ბინაში რამდენიმე ნივთი დაამტვრია, შემდეგ კი კარადაში მოიკალათა და დაიძინა.

ის დაიჭირეს და ერთ-ერთ მახლობლად მდებარე ტყეში გაუშვეს. პოლიციამ ადგილობრივი მცხოვრებლები გააფრთხილა, რომ სახლიდან გასვლის წინ კარი გადაკეტონ, რათა მსგავსი ინციდენტი თავიდან აირიდონ.

# ჯოხით შეიარაღებულმა მამაკაცმა ხბო ლომისგან დაიცვა



ინდოეთის გუჯარათის შტატში მამაკაცმა მოახერხა ლომის გაგდება, რომელიც ხბოს დაესხა თავს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

სოფლის ერთ-ერთი მცხოვრების ყურადღება მიიპყრეს შეშინებულმა ძროხებმა, რომლებმაც მტაცებელი შენიშნეს და გაიქცნენ. მათი ასეთი საქციელის მიზეზის გარკვევის შემდეგ მამაკაცმა ჯოხს დასტაცა ხელი და ლომს ესროლა. ცხოველი მაშინვე შეტრიალდა და გაიქცა.

მამაკაცის თქმით, იმ არემარეში უამრავი ლომი ბინადრობს, ამიტომ ის ნახირზე ასეთ თავდასხმებს შეჩვეულია.

– ამ ადგილებში დიდ კატებთან თანაარსებობა ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა, – აღნიშნა მამაკაცმა.

# 150 მეტრის სიმაღლიდან გადავარდნილი მძღოლი ცოცხალი გადარჩა

ჩინეთის პროვინცია სიჩუანში მძღოლი, რომელიც მთის ფერდობზე მდებარე გზაზე მგზავრობდა, 150 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა და ცოცხალი გადარჩა.

მამაკაცი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, მანქანით მთებში გადაადგილდებოდა. რაღაც მომენტში მას თავბრუ დაესხა და მართვა დაკარგა. ავტომობილი კლდიდან გადავარდა და ლოდებზე დაიმსხვრა. ვარდნის დროს მძღოლმა მანქანის სალონიდან გადმოხტომა მოასწრო, დაახლოებით 100 მეტრი იფრინა და ხეზე დაეცა.

თვითმხილველებმა პოლიციაში დარეკეს და მომხდარის შესახებ აცნობეს. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ მაშველები. მათ სახიფათო მონაკვეთი დაათვალიერეს და მამაკაცის ყვირილი გაიგონეს, რომელიც ხეზე იყო ჩამოკიდებული. სამაშველო ოპერაცია სამ საათს გაგრძელდა. მამაკაცის ხრამიდან ამოყვანაში 10-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.



მძღოლი საკაცეზე მოათავსეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის მარცხენა ხელის მოტეხილობითა და მკერდის მიდამოში დაჟეჟილობებით გადარჩა.

# მოკლული ნიანგის მუცელში დაკარგული ფერმერის ნაწილები აღმოაჩინეს

ინდონეზიის პროვინცია რიაუში, კუნძულ სუმატრაზე ნიანგმა მამაკაცი მოკლა და შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ფერმერი ვარტოიო მდინარე ლაკარის მახლობლად ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში დაიკარგა. სოფლის მცხოვრებლებმა მისი ძებნა დაიწყეს და საღამოს მდინარის ნაპირზე ჯერ ადამიანის სხეულის ნაწილებს მიაგნეს, შემდეგ კი ნიანგიც იპოვეს, რომელიც იქვე მოშორებით იწვა. მათ რეპტილია მოკლეს, მუცელი გაუფატრეს და მასში ადამიანის ხელები და ფეხები აღმოაჩინეს.

ოლქის ხელმძღვანელმა, სადაც რეპტილიის ადამიანზე თავდასხმა მოხდა, ხალხს მოუწოდა, რომ შეძლებისდაგვარად მდინარისგან თავი შორს დაიჭირონ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 27 ივნისისთვის



**ვერძი** – პრობლემების დაძლევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურები უნდა ჩამოყაროთ. სამაგიეროდ, სიყვარულში გიმართლებთ. **კურო** – ემოციები მოთოკეთ, ნერვებს ნუ აჰყვებით. ახალი საქმის დაწყება დღეს არ ღირს. ნურაფერს დაგეგმავთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მამაკაცმა ტყუპებმა ზედმეტი ინიციატივის გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. ქალებს ვარსკვლავები სტუმრად წასვლას ურჩევენ. **კირჩხიბი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. ახალი ნაცნობისგან სიურპრიზს ელოდეთ. ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – დამშვიდდით, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. არასაჭირო კონტაქტებისგან დღეს თავი შეიკავეთ. **ქალწული** – დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გელით. გრძნობებს აჰყევით და ისე იმოქმედეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. შესაძლოა, წვრილმან საოჯახო პრობლემებს შეეჯახოთ ან ფინანსურ სიძნელეებს გადააწყდეთ. საყიდლებზე წასვლა ან სხვა კომერციული ოპერაციები სხვა დროისათვის გადადეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ მშვიდ გარემოში. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. განმარტოება დიდ სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. თამამად იყავით, ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ მოქმედებს, თუმცა, ზომიერების დაცვაც არ გაწყენთ. **თხის რქა** – დაწყებული საქმის დამთავრებას სამომავლოდ ნუ გადადებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი ბრწყინვალედ გაქვთ. **მერწყული** – საკმაოდ გაგიძლიერდებათ აურა, შინაგანი პოტენციალი. პირადი მომხიბვლელობის წყალობით წარმატებას იოლად მიაღწევთ. **თევზები** – დღეს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილი მიიღოთ. მიწაზე დაეშვით და მოვლენები რეალურად შეაფასეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად;** 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისთვის; 5. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 6. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. აკვიატებული შიში; 16. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 20. ქართველი სუმოისტი; 23. ქუდების მკერავი ძველად საქართველოში; 24. საშობაო სიმღერა; 25. მდინარე ოზურგეთში; 26. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 7. კლიმატური კურორტი დუშეთის რაიონში; 8. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 12. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 13. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 15. მდინარე ევროპაში; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 22. საიდუმლო წერისთვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტებისთვის; 28. ქართველ სახალხო მკურნალთა გვარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ჩაქურა; 2. ვლტავა; 3. ლეკლერი; 4. სინდისი; 5. რომანსი; 7. ბოცმანი; 11. თერგი; 12. აიაქსი; 13. კაზუარი; 14. მასტიფი; 15. ხუცესი; 17. ანხელი; 19. დოლი.

**თარაზულად**: 5. რაფაელი; 6. გოლეული; 8. ვაცი; 9. ტესტი; 10. ნევადა; 11. თული; 13. კინტრიში; 14. მარკა; 16. ჩაუქი; 18. შოუდუ; 20. ფარღული; 21. სტილეტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. შატლი; 2. ქლესა; 3. სალხინო; 4. უნია; 5. ვეძა; 6. დიონისე; 9. ზურაბიშვილი; 10. ანტრაციტი; 11. კომუნიზმი; 14. პემზა; 16. გნომი; 18. ნიგერია; 20. იალბუზი; 23. ლოსი; 24. მარსი; 25. შხამი; 26. რენო.

**თარაზულად**: 7. კარბონატი; 8. ვეგეტაცია; 12. რიონი; 13. ლობიო; 15. ემალი; 17. მიხაილოვო; 19. ნავთი; 21. აგუტი; 22. იმოლა; 27. ფილოქსერა; 28. ფარნავაზი.

# პიანისტმა გიორგი მიქაძემ ჩინეთში გამართულ კონცერტზე საქართველოს ჰიმნი დაუკრა



ქართველმა პიანისტმა გიორგი მიქაძემ ჩინეთში გამართულ კონცერტზე საქართველოს ჰიმნი დაუკრა.

მუსიკოსმა ჰიმნი ჩენგნან სტადიონზე დაუკრა და ის ათასობით ადამიანმა მოისმინა.

– ჩინეთიდან გიერთდებით ჩვენი სამშობლოს ჰიმნით! გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს! – განაცხადა მუსიკოსმა.

# გიგა კვენეტაძე: „ისევ გაჭირვებული ხალხის თავზე გადავა ეს სიმწარე“

რუსეთში მცხოვრებ მუსიკოსს გიგა კვენეტაძეს მიაჩნია, რომ 8 ივლისიდან ავია რეისების აკრძალვა რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით კარგს არაფერს მოიტანს და ეს ყველაფერი ისევ გაჭირვებული ხალხის თავზე გადავა:



– 8 ივლისიდან აიკრძალა ავია რეისები რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით!

მალე ყველაფერს აკრძალავენ, რაც კი ქართულია.

შედეგი?

ისევ გაჭირვებული ხალხის თავზე გადავა ეს სიმწარე.

ბრავო!

# ალექსანდრე ბეგალიშვილი: „ახალგაზრდებისაა მომავალი!“



მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი ალექსანდრე ბეგალიშვილი ყველას სთხოვს გააზროს, რომ ახალგაზრდებისაა მომავალი და ამის შეცვლა არავის შეუძლია:

– მოდი რა, შევიგნოთ 50-ს გადაცილებულმა და სოც. წყობილებაში ნაცხოვრებმა ხალხმა, რომ ახალგაზრდებისაა მომავალი და მათ როგორც უნდათ, ისე უნდა იცხოვრონ და არა ისე, როგორც ჩვენ ვიცხოვრეთ და ჩვენ გვინდა. როგორც მამას უნდა. რატომ ვატენით ამ ჩვენ ცხოვრებას ცხვირში, ვერ გამიგია... რა ეგოიზმია, ეს რა არის.

უბრალოდ, რამდენი ფეისბუქში შევედი, სულ თქვენ ხართ ამ გახარია, გახარიას ძახილით. თუ ასე გიყვართ, გყავდეთ თქვენ. არ უნდათ ამ ბავშვებს არც ეგ და არც რუსული პოლიტიკა და შეიგნეთ ყველამ, ვინც კომუნისტებს და რუსებს მისტირით.

მორჩა. ჩვენ ვართ წარმავლები და ვაცადოთ მომავალს. შური, ბოღმა და ღვარძლი გადავყლაპოთ და კანალიზაციაში, იალააა. ბოდიშს გიხდით მთელი გულით, მაგრამ ძალიან ამეჭრა უკვე ტვინი თქვენი პოსტებით. მოგი..ანთ წარსული სოც შეგნება დღევანდელობაში. ყველას არ ეხება.

– როგორც მამას უნდაა-ში გაგარტყით რა. არ შემდგარო ეგოისტებო!

# ლუკა ზაქარიაძე: „ჩვენ მაინც მოვიგებთ ომს!“



„საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული მომღერალი ლუკა ზაქარიაძე დარწმუნებულია, რომ ის და მისი თანატოლები ამ ომს მაინც მოიგებენ:

– მიუხედავად იმისა, რომ შენ თვალი დაჰკარგე, უფრო კარგად ხედავ დღევანდელ უფსკრულებს, ვიდრე ის ჯალათი, რომელმაც დაგიმიზნა.

მიუხედავად იმისა, რომ შენ კიდური დაგისახიჩრეს, უფრო კარგად მოიხმარ აღმშენებლობაში, ვიდრე ის ჯალათი, რომელმაც გამოჰკრა ხელი სასხლეტს.

მიუხედავად იმისა, რომ შენ წყლის ჭავლი მოგასხეს, უფრო გსიამოვნებდა უკანა რიგებიდან გადმოწოდებული წყალი, თუნდაც ორი ყლუპი, რადგან მართლა გწყუროდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაგვშალეს, გვსდიეს, დაგვარბიეს, ჩვენ მაინც მოვიგებთ ომს! არა რუსეთს! არა ძალადობრივ სისტემას! გამოდი!

# სამგლოვიარო განცხადებები

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი ქალბატონი

**ოლია ალექსის ასული სამხარაძე-სხირტლაძე**

ნათელში იყოს მისი სული!

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნანკა კალატოზიშვილი: „პარლამენტში ფსიქოლოგი და ფსიქიატრი აუცილებლად უნდა ჰყავდეთ“



ასე მიაჩნია მსახიობ ნანკა კალატოზიშვილს, რადგან ამის აუცილებლობას პარლამენტარების მიერ გაკეთებულ განცხადებებში ხედავს:

– პარლამენტში ფსიქოლოგი და ფსიქიატრი აუცილებლად უნდა ჰყავდეთ, იმდენად არაადეკვატურები არიან. შტურმს რომ იძახით ამდენი დღეა, 200 კაცის გამო გინდათ დააჯეროთ თავს, რომ ათასობით ადამიანი გადატრიალებისთვის მოვედით და თან შვილები წამოვიყვანეთ? პირადად მე, პირველ დღეს შვილთან ერთად ვიყავი მოსული და ვერც დავუშვებდი, რომ ამას იკადრებდით, ესეც ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ გავიზარდეთ და გენდობოდით ოპტიმისტურად. თუმცა პროგრესი ნოლი აღმოგაჩნდათ.

ბოლო ორი დღეა ვერ მოვდიოდი აქციაზე, ბავშვის დამტოვებელი არ მყავდა და როცა ვთხოვდი დანის, წამოდი, აქციაზე რამდენიმე საათით მაინც მივიდეთ, პასუხად შეშინებული თვალებით მეუბნებოდა, არა! იქ ბავშვებს თვალებს თხრიანო. რაც არ უნდა ილაპარაკოთ, ისტორიაში ახალი თაობისთვის ზუსტად ესე დარჩებით. ადამიანები, რომლებმაც დააბრმავეს ბავშვები!

# თამარ ივერი: „მტერს მტერი დაერქვას და მოყვარეს მოყვარე!“



ოპერის მომღერალი თამარ ივერი აცხადებს, რომ დადგა დრო, მტერს მტერი დაერქვას და მოყვარეს მოყვარე:

– რუსის ხალხი მარტო რეისების აღდგენისთვის და ტურიზმისთვის რომ აკეთებენ პეტიციებს. ეს მათი სიამოვნების არ დასაკარგადაა გამიზნული! მათი ნამდვილი გვერდში დგომა და მეგობრობის და თანადგომის გამოხატულება იქნება თუ ჩვენი ტერიტორიების დაბრუნების პეტიციებს შექმნიან და მათ ხელმოწერას დაიწყებენ!

ვინმემ ითაოს!

დამთავრდა ამ ამდენი პროფესორების, შეშფოთებული უცხოელი პოლიტიკოსების და ამდენი „ვედრო ლარად“ ექსპეტრების მხოლოდ სიტყვითი მხარდაჭერები და ცარიელი აღშფოთებები!

მტერს მტერი დაერქვას და მოყვარეს მოყვარე!

# ალეკო შუღლაძე: „ახალი სისხლი გვინდა მთელ სხეულში!“



– უნდა მოვიფიქროთ, როგორ ვიპოვოთ ნამდვილი ადამიანები. დღესვე დავიწყოთ ამაზე ფიქრი, ეს ცარიელი სიტყვები არ არის. ბოლო პერიოდი მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. ძველი აღარ, არც იმაზე ძველი, არც ძველზე ძველი, არამედ რაღაც სხვა. რაღაც ახალი! ყველა სფეროში! ახალი სისხლი გვინდა მთელ სხეულში! – აცხადებს მწერალი ალეკო შუღლაძე:

– სხვა ადამიანები უნდა ვიპოვოთ!

გულწრფელი ხალხი უნდა ვიპოვოთ, ვინც არ გაიყიდება! ვისაც ფული და ძალაუფლება დედას არ უტირებს.

ამათი ამბავი გასაგებია, ამათი საქმე წასულია, ეგ ისედაც ვიცოდით. ერთი და იგივე რაღაცების წერა საჭირო არ არის. ჩვენ მართლა ვიცით, ვინ ვინ არის.

ესენი განწირულნი არიან, როგორც ისინი იყვნენ განწირულნი და კიდევ მანამდე ვინც იყო, დამპალი ხელისუფლების ბევრი თაობა. ზოგს დაიჭერენ, ზოგი გაიქცევა, ზოგი აქვე სადმე დაიმალება და მერე ტრანსფორმირდება.

ეს არის საუკეთესო დრო მათთვის, ვისაც ველოდებით ამდენი წელია.

ამიტომ ახალი ადამიანები უნდა ვიპოვოთ. შეუძლებელია, რომ საქართველოში ვერ ვნახოთ. ვინმე ახალი თაობიდან, ან თუნდაც ძველიდან, ვისაც შემორჩა ადამიანებზე ზრუნვის სურვილი, კეთილი ხედვა, გონიერი მსოფლხედვა, სიყვარულის განცდა.

თუ ასე არ მოვიქცევით, ისევ ბოროტები მოვლენ, ისევ დაგვჩაგრავენ. აზრი არ ექნება ამ წინააღმდეგობას. თავის დინებაზე ველარ მივუშვებთ!

ისინი ჩვენ გვაწამებდნენ, დაგვცინოდნენ და ახლა ჩვენს შვილებს მიადგებიან. რაღაც კასტაა ასეთი – დემონების. გესმით?! უკვე მიადგნენ და კიდევ 100 წელი დაჩაგრავენ, გააწამებენ, უფლებას თუ მივცემთ.

უნდა მოვიფიქროთ, როგორ ვიპოვოთ ნამდვილი ადამიანები. დღესვე დავიწყოთ ამაზე ფიქრი, ეს ცარიელი სიტყვები არ არის. ბოლო პერიოდი მხოლოდ ამაზე ვფიქრობ.

ძველი აღარ, არც იმაზე ძველი, არც ძველზე ძველი, არამედ რაღაც სხვა.

რაღაც ახალი! ყველა სფეროში! ახალი სისხლი გვინდა მთელ სხეულში!

# თეკლა ჩიჯავაძისთვის ამ ქვეყანაში ცხოვრება გაუსაძლისია



მოდელი თეკლა ჩიჯავაძე 20 ივნისის ღამეს იხსენებს და მიაჩნია, რომ ნაცების და ქოცების გამო, ამ ქვეყანაში ცხოვრება უკვე გაუსაძლისია:

– თავიდან მშვიდობიანი სახე ჰქონდა ყველაფერს, რომ არა პარლამენტში შევარდნის დაუოკებელი სურვილი!

რა საჭირო იყო პარლამენტში შევარდნა, ამითი რა მოხდებოდა! მშვიდობიანი გზით გვინდოდა პროტესტის გამოხატვა და მაინც ნაციონალებმა სათავისოდ გამოიყენეს ეს აქცია! და ისევ ხალხი დაზარალდა!

გაა.ვით ნაცებმაც და ქოცებმაც და ვინმე ნორმალური ადამიანი გამოჩნდეს, თორე უკვე გაუსაძლისია ამ ქვეყანაში ცხოვრება!

სადაც ქართველები ერთმანეთს ვეტაკებით რუსის გამო!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

# ტურისტებმა ნაქირავებ აპარტამენტებში ფარული კამერები აღმოაჩინეს



სამმა მალაიზიელმა ტურისტმა პორტუგალიის ქალაქ პორტუში დასვენების დროს ნაქირავებ აპარტამენტებში ფარული კამერები აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაცია ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ინტერნეტ-მომხმარებელმა სახელად რუბი ბუმ გამოაქვეყნა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბუს მეგობარი გოგონა შხაპის მიღებას აპირებდა, რა დროსაც შენიშნა, რომ ჩამრთველი რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა. მან მას სმარტფონის ფანარით მიანათა და, რომ ჩამრთველის ზედა შიდა მხარეს, პატარა კამერა იყო მიმაგრებული.

შეშინებულმა ტურისტებმა პოლიცია გამოიძახეს და ახალი საცხოვრებლის ძებნას შეუდგნენ. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ადგილზე ნახევარ საათში მივიდნენ და კამერა ამოიღეს.

– ჩვენ სასწრაფოდ ჩავალაგეთ ჩვენი ჩანთები, ბინის გასაღებები პოლიციელებს ჩავაბარეთ და წავედით. როდესაც სხვა სასტუმრომდე მივაღწიეთ, უკვე დილის ხუთი საათი იყო, – დაწერა ბუმ, – როდესაც მივდიოდით, ბინის მეპატრონეს არც კი შემოუხედავს ჩვენთვის.

კომპანიამ, რომელიც მალაიზიელებს ბინის დაქირავებაში დაეხმარა, განაცხადა, რომ უკვე დაიწყო მომხდარის გამოძიება. გარდა ამისა, ის მათ დაჰპირდა, რომ სრულად აუნაზღაურებს იმ ბინაში დახარჯულ თანხას, რომელშიც ფარული კამერა აღმოჩნდა და ასევე აუნაზღაურებს იმ ხარჯებსაც, რომელიც მათ ახალი ბინის მოძიებაში დახარჯეს.

# მილიონერს ყოფილი მეუღლის გარეგნობის სექს-თოჯინა სურს



ანონიმმა მილიონერმა მდიდრული ნივთების ინტერნეტ-მაღაზიას განუცხადა, რომ სურს თავისი ყოფილი მეუღლის გარეგნობის მქონე სექს-თოჯინა შეუკვეთოს.

მამაკაცის თქმით, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, მეუღლე მას 35 წლიანი ქორწინების შემდეგ დაშორდა.

– სრულიად ვერ ვეგუები იმ იდეას, რომ ისევ ვინმეს უნდა შევხვდე გასაცნობად, – განმარტა მან ინტერნეტ-მაღაზიისთვის გაგზავნილ წერილში. გარდა ამისა, ის შიშობს, რომ სხვა ქალებს მხოლოდ მისი ფულები ენდომებათ.

მილიონერი თვლის, რომ მის პრობლემას ყოფილი მეუღლის გარეგნობის სექს-თოჯინა მოაგვარებს.

– მე მისი ასეულობით ფოტოსურათი მაქვს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მისი მოდელის შექმნა, – დაწერა მილიონერმა, – მისი შესანიშნავი წაბლისფერი თმების დამზადება შეიძლება, თუმცა მირჩევნია, რომ ნამდვილი იყოს.

წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ სექს-თოჯინების მწარმოებელ არაერთ კომპანიას მიმართა, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მისთვის აუცილებელი სიზუსტის შეთავაზება. მას იმედი აქვს, რომ სწორედ ინტერნეტ-მაღაზია დაეხმარება იმ ადამიანების ან ფირმის მოძებნაში, რომლებიც მის შეკვეთას თავს გაართმევენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

27 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.8470 |
| ევრო | — 3.2356 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.6143 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.932 |

**ამინდის პროგნოზი 27 ივნისისთვის**





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**25 ივნისიდან**




ჟიულ ვერნი

**20 000 ლიე წყალქვეშ**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

**18 ივნისიდან**

ანე ფრანკი

**თავშესაფარი**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი

ქალი კაცს ეუბნება:

– აღარ გაბედო ჩემთან დარეკვა და სმს-ის გამოგზავნა!

– რა მოხდა?

– არაფერი.

– კი მაგრამ, ასეთი რა გავაკეთე?

– რა და არც მირეკავ და არც სმს-ებს მიგზავნი...

●●●

მუშაობის დაწყების მსურველს გასაუბრებაზე ეკითხებიან:

– და ბოლო შეკითხვა: თქვენი უარყოფითი თვისება?

– ზოგჯერ ვშტერდები.

– კარგი, მიღებული ხართ.

– სად?

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეუბნება:

– თქვენი საბუთები, სერ!

– მასე რატომ მომმართავთ?

– იმიტომ, რომ გზის მარცხენა მხარეს მოძრაობთ!

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– ამაღამ შიშვლებმა ვიცურაოთ!

– კი მაგრამ, ცურვა რომ არ ვიცი?

– არც არის საჭირო!

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– თეა, ცოლად გამომყევი!

– დილით გამოფხიზლდები და გადაიფიქრებ!

– გეფიცები, არ გამოვფხიზლდები!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ბუფონი შეიძლება იუვენტუსში დაბრუნდეს



41 წლის ლეგენდარული მეკარე ჯან ლუიჯი ბუფონი შესაძლოა იუვენტუსში დაბრუნდეს. ბუფონმა პსჟ-ში ერთი სეზონი გაატარა და პსჟ მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს. თავის მხრივ არც ბუფონი ფიქრობს კარიერის დასრულებაზე, ამიტომ ის თავის ყოფილ გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

ბუფონი იმაზეც თანახმაა, რომ სათადარიგო მეკარე იყოს იუვენტუსში.

შეგახსენებთ, რომ ბუფონმა იუვენტუსში თავისი კარიერის 17 წელიწადი გაატარა და სწორედ ამ გუნდში გახდა ის სუპერ ვარსკვლავი.

## ბაიერნი უსმან დემბელეთი დაინტერესდა



მას შემდეგ, რაც ბაიერნმა ვერ შეძლო ლეროი სანეს ყიდვა, მიუნხენელები აგრძელებენ ახალგაზრდა სწრაფ ფორვარდებზე ნადირობას და ამჯერად მათი ინტერესების სფეროში უსმან დემბელე მოექცა.

ბაიერნი მზად არის, დემბელეს ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს და შესაძლოა ბარსელონა დემბელეს გაშვებაზე დათანხმდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გუნდში ნეიმარი დაბრუნდა.

დემბელეს შეძენა ბაიერს რამდენიმე წლის წინაც სურდა, მაგრამ მაშინ უსმანმა დორტმუნდის ბორუსიაში გადასვლა ამჯობინა, ბარსელონაში კი ის 2017 წლიდან თამაშობს.

## ევერტონმა ანდრე გომეშში 25 მილიონი გადაიხადა



ევერტონმა ბარსელონადან ანდრე გომეში გამოისყიდა და მასში 25 მილიონი გადაიხადა. გომეშმა გასული სეზონი ევერტონში იჯარის წესით გაატარა და ის ბარსელონას საკუთრება იყო. კატალონიურმა გუნდმა მისი დაბრუნების სურვილი არ გამოთქვა და არც ანდრე გომეშს სურდა ბარსელონაში კარიერის გაგრძელება, რადგან ამ გუნდში მან ვერ შეძლო დამკვიდრება.

რაც შეეხება ევერტონს, იქ გომეში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და თავს ბედნიერად გრძნობს.

## დავიდ სილვა მანჩესტერ სიტის ერთი წლის შემდეგ დატოვებს



დავიდ სილვამ განაცხადა, რომ ის კიდევ ერთ სეზონს ჩაატარებს მანჩესტერ სიტიში და შემდეგ ამ გუნდს დატოვებს. ამის მიზეზად სილვამ თავისი ასაკი დაასახელა და თქვა, რომ დროა, ახალგაზრდებს დაუთმოს ასპარეზი:

– მანჩესტერ სიტიში უამრავი სეზონი გავატარე და ეს გუნდი ჩემი სახლია, სადაც თავს ყოველთვის შესანიშნავად ვგრძნობდი, მაგრამ მოვიდა დრო, რომ გზა ახალგაზრდებს დავუთმო. ეს სეზონი სიტიში ჩემთვის ბოლო იქნება და ჯერჯერობით არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას.

დავიდ სილვა მანჩესტერ სიტიში 2009 წელს გადავიდა.

## რეალი მბაპეს დროებით შეეშვა



მადრიდის რეალი წლევანდელ ზაფხულში კილიან მბაპეს ყიდვას არ აპირებს, რადგან მან უკვე ძალიან ბევრი ფული დახარჯა.

მბაპე რეალის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა და რეალი მასზე უარს არ ამბობს. მადრიდელები მის ტრანსფერს მომავალ ზაფხულში მოუბრუნდებიან.

რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი არ მალავს, რომ მისთვის კილიან მბაპეს შეძენა პრიორიტეტულია და ის ამისთვის ყველაფერს გააკეთებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 2. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 3. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 4. იტალიელი მესტამბე, პირველი ქართული წიგნის შემდგენელი და გამომცემელი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 7. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 11. აფრიკული ცხოველი; 12. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 13. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 14. გერმანული ლუდი; 15. ბადრიჯნით, პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 17. გვარის, თემის წინამძღოლი სვანეთში; 19. ღამის ფრინველი.

**თარაზულად:** 5. რაიონული ცენტრი იმერეთში; 6. ღვთისმშობლის სახელწოდება სვანეთში; 8. ესპანეთის კინემატოგრაფისტთა პრემია; 9. მუსიკოს-მომღერლის სახელწოდება შუა-აზიაში; 11. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 10. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 13. ქაღალდის ფული; 14. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. ბრაზილიელი მწერალი; 18. ჩიკაგოს აეროპორტი; 20. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 21. ცხელი ქარი.




*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*


ჩან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ






ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




გუი ფუ დი ჰუანგ ვან + ცუნ ცაო

აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/